F-128
1913

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეხუთე. | წელიწადი მ ხუთე.

№ 11 და 12. ივნისი 1913 წ.

შინაარსი:

	მოწოდება	3
ვ. **რცხილაძე**	კოოპერატივების საყურადღებოდ	4
ვ. **გულბაათიშვილი**	რას გამოგვდით სოფლის კოოპერატივებისაგან	8
	მეორე გამოფენა-ბაზარი ხილისა და ბოსტნეულობისა	9
ა. **კახელაძე**	ქართულ სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორთა მოხსენებანი	14
ვ. **რცხილაძე**	საგულისხმო მოხსენება (თარგმანი)	16
	განცხადებანი	31—32

ჟურნალი წელიწადში ღირს—3 მანეთი. | მისამართი: Тифлисъ, Барятинская, 5.

ტფილისი, 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზად არის აღმოუჩინოს „**მოსავალი**"-ს მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **სამი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.

F-5390

მოწოდება

მეურნეთა თათბირი სოფ. საგარეჯოში.

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოწვევით სოფელ საგარეჯოში 29 მარიამობისთვიდან ვიდრე 31-მდე გაიმართება მეურნეთა თათბირი ადგილობრივ მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად და შესაფერ ზომების მისაღებად.

თათბირი გაიმართება შემდეგი პროგრამით:

1.—გარედ-კახეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო დარგები და მათი ეკონომიური მნიშვნელობა ადგილობრივ ჭავა-ნიადაგის და ტფილისის ბაზართან სიახლოვის მიხედვით.

2.—სასმელი და სარწყავი წყლები; ამ წყლების გამოსაყენანი ღონისძიებანი.

3.—საკვები ბალახების თესვა მესაქონლეობის ხელის შესაწყობად და ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად.

4.—მესაქონლეობა და მერძეობა.

5.—ტყეების და სამოვრების გამოყენება.

6.—სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების და სხვა დაწესებულებების დაარსება.

7.—სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოცდა.

ქართული სამეურნეო საზოგადოება სთხოვს ივრის ხეობის ყველა კერძო მეურნეებს და სოფლის ამორჩეულ კაცებს მობრძანდნენ ამ თათბირზე და გაუზიარონ დამსწრეთ თავიანთი ცოდნა-დაკვირვება ადგილობრივ მეურნეობის შესახებ, რათა საქმეში ჩახედულთ პირთა საჯარო მსჯელობით შესაძლებელი შეიქმნეს გამოვარკვიოთ ის გზა, რომელიც შესამჩნევ წარმატებას შესძენს გარედ-კახეთის მეურნეობას ახლო მომავალში.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სამ. რესპუბ.

კოოპერატივების საყურადღებოდ

სოფლად არსებული ჩვენში კოოპერატივი, მიუხედავად ამისა საკრედიტო ამხანაგობაა იგი, შემნახველ-გამსესხებელი, მომხმარებელი, საწარმოო, თუ სხ, შუამავალი ხდება თავის პატარა რაიონისა და დიდ ბაზრის შორის. ამ შუამავლობას, რომ კიდევაც არ სურდეს კოოპერატივს, თუ იგი მომქმედია, სოფელთან კარგი განწყობილება აქვს და სოფელი მას ენდობა, გარემოება ძალაუნებურად დააკისრებს მას როგორც ერთადერთს დაწესებულებას სოფლის სამსახურისათვის დაარსებულს. ან კი რა არის აქ არა-სასურველი, არა-ბუნებრივი.პირიქით,ესეთ კავშირში სოფელი ნახავს სარგებლობას, კოოპერატივი—სასიამოვნო საქმიანობას.

მაგრამ სოფლისადმი ასეთი სამსახურის გაწევა დიდ ცოდნა-გამოცდილებას თხოულობს. კოოპერატივი კარგად უნდა სცნობდეს სოფელსაც და ბაზარსაც, რომ ორივესთან პირნათლად გამოვიდეს: სოფელი ბაზარს არ დაუკარგოს და ბაზარი სოფელს. შუამავალმა უნდა იცოდეს რას აკეთებს ან რის გაკეთება შეუძლიან სოფელს, რომ ბაზარი სწორედ დააიმედოს. მან უნდა სწორედ იცოდეს აგრედვე რას თხოულობს ბაზარი და სად იშოება იაფი და კარგი ღირსების საქონელი, რომელსაც სოფელი საჭიროებს და ყიდულობს. შეუცდომელი სამსახური ასეთ რთულ საშუამავლო საქმეში მეტად ძნელია და ამიტომ შემცდარი იქნება კოოპერატივი, თუ ამ შუამავლობის განხორციელებას თავიდანვე სავსებით შეეჭიდება. უფრო წესიერია კოოპერატივმა აირჩიოს სამოქმედოდ ჯერ ერთი რამ: მაგალითად შუამავლობა გაუწიოს სოფელს იმაში რაც სოფელს შესაძენად უნდა, ან რაც გასასაღებელი აქვს, რომ ნელნელა გაიკვლიოს გზა და მხოლოდ მერე გააფართოოს თავისი მოქმედება.

პირველ ხანად ისიც კი გადაჭარბებული იქნება რომ ამხანაგობამ რაც სოფელს ან შესაძენი აქვს, ან გასასაღებელი ყველა ითაოს. ათასი რამ სჭირდება სოფელს სასყიდლად. კოოპერატივი ვერ გასწვდება ყველაფერს და არც უნდა გამოუდგეს. სრულიად საკმარისია კოოპერატივმა გაუწიოს სოფელს სამსახური მაგალითად თუნდა მარტო შაბიამნის, გოგირდის, თესლეულობის და ზოგიერთ სამეურნეო იარაღების შეძენაში. ვსთქვათ კოოპერატივი კისრულობს შუამავლობას მარტო შაბიამნისა და გოგირდის შეძენაში. რაოდენი იქნება ის სარგებლობა, რასაც იგი მოუტანს სოფელს ამ საქმეში? დღეს ამ საქონელს სოფელი ყიდულობს მედუქნეებისაგან ან იქვე სოფელში, ან სამაზრო ქალაქში, ყიდულობს წვრილ-წვრილად, თითოეული ოჯახი ცალკე. გამყიდავი ძაან არ დაგიდევთ არც საქონლის ღირსებას, არც მის ფასის რაოდენობას, ოღონდ მაზანდა იყოს და გასაღება შეეძლოს მოგებით. გოგირდი მაგალითად ეღირება 2 მანეთი ფუთი, თუ 1 მ. 80 კ., მედუქნესათვის სულერთია, ის თავის ზედნადებს ორივე შეეთხვევაში აიღებს. კოოპერატივი კი სულ სხვაა. პირველი ზრუნვა კოოპერატივისა კარგი ღირსე-

ბის საქონლის შეძენა იქნება, მეორე—მისი იაფად შოვნა, რომ თითოეულ მეურნეს, რომელიც ამ საქონელს კოოპერატივიდან წაიღებს, იაფად დაუჯდეს. როდესაც კოოპერატივი არ არის და სოფელი მარტო კერძო ვაჭართა ანაბარა რჩება, მაშინ მათ შეუძლიანთ ფასი რამდენადაც კი გარემოება ხელს შეუწყობთ იმდენად მაღლა ასწიონ. კოოპერატივი კი არც თითონ დაადგება ამ გზას და არც კერძო ვაჭართ შეუწყობს ხელს ფასების მაღლა აწევაში. იგი გაჰყიდის საქონელს იმ ფასში, რაც მაზანდა იქნება, როგორც თვით მედუქნეებსაც შეეძლებათ გაყიდონ მცირედის მოგებით თავიანთვის. კოოპერატივი საბოლოო მისწრაფებად გაიხდის კერძო მოვაჭრეთა განდევნას ამ საქმეში, მაგრამ ჯერ შორს იქნება წადილის აღსრულება. კერძო მოვაჭრე კოოპერატივის მეზობლადაც წარბს არ შეიდრეკს. ცოტას იმაში მოიგებს რომ მდარე ღირსების საქონელს მოიტანს შედარებით, ცოტასაც იმაში რომ იმავე საქონელს, რასაც კოოპერატივი გამოიწერს, უფრო ნაკლებ ფასში იყიდის. მის ვაჭრობას დღე შეუმოკლდება მხოლოდ მაშინ, როცა კოოპერატივი შესძლებს ნაკლებ ფასში იყიდოს საქონელი და მედუქნეზე იაფად ყიდოს. თუ კოოპერატივმა მოახერხა საქონლის უფრო იაფად სყიდვა, მედუქნეზე, მაშინ ამ უკანასკნელს თავის ვაჭრობის სადღეგრძელოდ, ე. ი. ზედმეტად მიცემულ ფასის ასანაზღაურებლად და რაოდენიმე მოგების მისაღებად,—უამისოდ რა ხელს მისცემს ვაჭრობა—მარტო ისღა დარჩება რომ მდარე საქონელი კარგის ფასში ყიდოს და, ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს, ამით ფონს ვერ გავა.

მაშასადამე, საბოლოო მიზანს მიაღწევს კოოპერატივი, როდესაც იგი მედუქნეზე ძვირად კი არა, არამედ უფრო იაფად იყიდის საქონელს. ამას კი ერთი კოოპერატივი ვერ შესძლებს, ვერ შესძლებს არა თუ უფრო იაფად სყიდვას, არამედ იმ დაბალ ფასებშიაც კი, როგორც კერძო მოვაჭრე ყიდულობს დღეს.

დიდი ვაჭარი, რომლისგანაც ყიდულობს გოგირდს კოოპერატივიც და მედუქნეც, ცხადია, თავის ინტერესის დამცველია. მან რომ კოოპერატივს იმავე ფასში დაუთმოს საქონელი, როგორც მედუქნეს, ეს უკანასკნელი ხელს აიღებს ამ საქონელზე და ჯერ ერთი რომ საქონელი ვეღარ გასაღდება იმდენი, რამდენსაც ყველა მისი მუშტარი მედუქნეები ასაღებდნენ, და მეორე—უფრო მეტად დაემორჩილება ეს ვაჭრობა კოოპერატივის ნებასურვილს. ამიტომ დიდი მოვაჭრე, როცა მას რომელიმე კოოპერატივი მიმართავს და სთხოვს საქონელი დაუთმოს იმ ფასად მაინც, როგორც მედუქნეს აძლევს, ეტყვის:—ბატონებო, თქვენ ერთი ხართ, მედუქნე კი მრავალია; თქვენ გუშინ დაიწყეთ საქმე, მედუქნეები კი ეს ამოდენა ხანია ჩემგან ვაჭრობენ და იმ პატარა მოგებით, რასაც იღებენ, ჰკვებავენ თავიანთ ცოლ-შვილს. თქვენ მოგებისათვის ხომ არ მიგაქვთ საქონელი, ხალხს გინდათ დაეხმაროთ, მე რომ იმავე ფასში დაგითმოთ, როგორც მედუქნეს ვაძლევ, ამ უკანასკნელმა ხომ ისე უნდა გაყიდოს, როგორც თქვენ და მაშ რიღათი იცხოვროს. აქამომდე ეს წვრილი ვაჭრები მისაღებდნენ საქონელს და ახლა მადლობის მაგიერ მე ესე უმადურად როგორ

მოვექცე. არა, ბატონებო, ეს ჩემთვის არც სასარგებლო იქნება და ამიტომ ცოტათი მეტს გამოგართმევთ ფუთში, ვიდრე მედუქნეებზე ვყიდი, მით უმეტეს რომ მედუქნე, მომეტებულ შემთხვევაში ნაღდზე ყიდულობს და თქვენ კი ნისიად გინდათ წაიღოთ ჩემი საქონელი.

ვაჭარი ულმობელია ცარიელი ხვეწნა-მუდარით კოოპერატივი ვერას გახდება მასთან. საჭიროა მის ციხე-სიმაგრეს შესაფერი ყუმბარა დაუმზადოთ. საჭიროა თმვენც შეგეძლოთ უთხრათ მას:—ჩვენ მარტონი როდი ვართ, ყველა კოოპერატივებმა მხარიმხარს მივეცით, ვისგანაც ერთი იყიდის, დანარჩენებიც იმისაგან წაიღებენ იმავე საქონელს, თანახმად ჩვენ შორის დადებულ პირობისა, და ამიტომ ჩვენთან საქმის დაჭერა უფრო ხელსაყრელი იქნება თქვენთვის, ვიდრე მედუქნეებთან ცალკ-ცალკე, რადგან ჩვენ, შეკავშირებული კოოპერატივები, ბევრით მეტს გავასაღებთ, ვიდრე მედუქნეები.

თუ საბუთი გექნებათ ასე დაუხვდეთ პირად ინტერესების მიმდევარ მოვაჭრეს, ე. ი. თუ კოოპერატივები მართლა შეკავშირებულნი იქნებით ურთიერთ შორის სავალდებულო პირობის დადებით, მაშინ ამ მოვაჭრესაც დაიყოლიებთ და ბევრს სხვა შედავათსაც ნახავთ საქმეში.

მაგრამ ვიდრე ამ შედავათების გამორკვევას შევუდგებით ვიკითხოთ ჯერ: რა არის აქ ისეთი, რაც თქვენ, აქამომდე უძლურებს, ახლა ესოდენ ძლევამოსილებად გაგხდით დიდ ვაჭრის თვალში? როგორც აქამდე, ისე ეხლაც ყოველი ცალკე კოოპერატივი წაიღებს საქონელს იმდენს, რამდენიც წინად მიჰქონდა, ისევ ისე ნისიად, ისეთივე საკუთარი პასუხისმგებლობით, როგორც წინად?

ახალი აქ იქნება მარტო კოოპერატივების ურთიერთ შორის შეთანხმება და ვაჭარზე იერიშის ერთად მიტანა.

ესეთი შეკავშირება კოოპერატივებისა შეიძლება მოხდეს ქართულ სამეურნეო საზოგადოების შემწეობით. რაც შეეხება თვით ფორმას პირობა-შეკრულობისას, ამაზე შემდეგი შეიძლება ვსთქვათ: კავშირიც არის და კავშირიც. ზოგი მოკავშირენი როდესაც ეკვრიან პირობით ერთმანეთს სულ იმის ცდაში არიან რომ ერთმანეთი არ გააცურონ, რაიმე იურიდიული სარმა არ გამოჰკრან და ცარიელზე არ დასვან ერთმანეთი. ზოგნი კი თავიდანვე გრძნობენ სრული შეგნებით რომ თითოეული მათგანის ძალა სწორედ ამ შეკავშირებაშია, რომ დადებულ პირობის აუსრულებლობა ერთ მოკავშირესაც ავნებს და მეორესაც. პირველ შემთხვევაში კავშირს უზრუნველ ჰყოფს იურიდიული ფორმა, მეორეში—მოკავშირეთა შეგნება.

კოოპერატივებმა თავიანთ შესაკავშირებლად ეს მეორე გზა უნდა აირჩიონ, შეგნებით უნდა უზრუნველ ჰყონ სიმტკიცე ურთიერთ შორის დადებულ პირობისა. მაშინ სრულიად საკმარისი იქნება წერილობით გამოუცხადონ ქართულ სამეურნეო საზოგადოებას, რომ მათ სურთ ამა და ამ საქონლის შეძენა მოახდინონ იქ, სადაც ქართ. სამ. საზოგადოება უჩვენებთ და იმ ფასებში, როგორც ეს უკანასკნელი მოურიგდება საქონლის პატრონს. ესეთი წერილობით გამოცხადებული სურვილი კოოპერატივმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს თავისთვის და მტკიცედ დაიცვას, ე. ი. სხვაგან არსად არ იყიდოს შემოკვეთილი საქონელი, თუ არ იქ, სადაც ქართ. სამ. საზოგადოება უჩვენებს, უკეთუ ამ უკანასკნელმა იკისრა, რასაკვირველია, ასეთი შუამავლობა.

კოოპერატივების ასეთი პირი-პირს შეკვრა არ ეპრიანება თავისუფლად მონავარდე დიდ ვაჭარს და შეეცადება სხვადასხვა საშუალებებით რომ კოოპერატიული ციხე-სიმაგრე არ აშენდეს. ვაჭარი შეგნებული ადამიანია, იცის რომ ციხე შიგნიდან უფრო მალე ტყდება და ამიტომ კავშირის გარეშე დარჩენილს კოოპერატივს და აგრედვე თითო-ოროლა მოკავშირესაც უფრო იაფად შეაძლევს საქონელს, ვიდრე იმათ საერთო წარმომადგენელს შეჰპირდა, რომ კავშირი შეარყიოს მოკავშირეთა მიერ პირობის დარღვევით. ამისთანა შემთხვევაში ისევ შეგნება უნდა იყოს მხსნელი, შეგნება იმისი რომ წლეობით სჯობია ისევ ცოტა მეტი გადააყოლოს საქონლის სყიდვაში და კავშირი მტკიცედ დაიცვას მერმის ძალის მოსაპოებლად, ვიდრე ეხლა უმტყუნო კავშირს ერთი-ორი გროშისათვის და სამუდამო მონად გახდეს ამ დიდი ვაჭრისა. რასაც ეხლა გადააყოლებ, მერმის ზედმეტად აგინაზღაურდება. თუ წაგძლევს სული და მოინდომებ იმ ორიოდე გროშის მოგებას, რასაც ვაჭარი გითმობს მარტო შენ, იმას ისევ შენგანვე აიღებს მერმის ერთი-ორად.

ვნახოთ კიდევ სხვას რას მოიგებს კავშირი გარდა იმისა რომ საქონელს დაბალ ფასებში გამოიტანს.

როცა თითოეული კოოპერატივი ცალკე მოქმედობს, მან უნდა საქონლის ასარჩევად კაცი გაგზავნოს ან ვისმე კერძო სანდო პირს დაავალოს. ყველა ამას ხარჯი მოსდევს. დაიკვეთავს წერილით და რასაც გაუგზავნიან, უნდა ენდოს და მიიღოს, წინად უნახველად, რადგან საქონლის ნიმუშების გზავნა წიკომაკო მყიდველთან სახალისო არ არის დიდ ვაჭრისათვის. თუნდაც რომ ნიმუშები მიუვიდეს კოოპერატივს საქონელს ცნობა, შემოწმება უნდა ანალიზით. სად ჰყავს ყოველ კოოპერატივს ისეთი მცოდნე პირები, ან სად ექნება საშუალება საქონელი ანალიზით შეამოწმოს ხოლმე, ან ვის უნდა მიმართოს კოოპერატივმა წერილით იმ ერთი-ორი ფირმის გარდა, რომელთანაც ოდესმე ჰქონია საქმე; იქნება ეხლა სხვა უკეთესი ფირმაც არის, მაგრამ რანაირად შეიტყოს კოოპერატივმა. .

სულ სხვაა, როდესაც შეკავშირებულთ კოოპერატივებს საერთო შუამავლად მთელი სამეურნეო საზოგადოება ეყოლებათ. ჯერ ერთი რომ დიდ დაწესებულებას დიდი სახელიც აქვს. როცა ასეთი დიდი შუამავლობა ექნება ყველა კოოპერატივებიდან მინდობილი ქართულ სამეურნეო საზოგადოებას, ამას ბევრი შორს მყოფი ფირმაც გაიგებს. ეს ფირმები თითონვე შეეცდებიან გააცნონ თავიანთი საქონელი, ნდობა დაიმსახურონ და საქონელსაც ღირსეულს გაგზავნიან ხელმისაწვდენ ფასში.

სამ. საზოგადოებას კიდე თავის მხრივ შეეძლება თანდათან შექმნას ისეთი რაზმი საქონლის გამშინჯავებისა, რომელთაც არცერთი ნაკლი არ გამოეპარებათ, და ეცოდინებად საუკეთესო ფირმები, რომლებთანაც იქონიებენ

მიწერ-მოწერას და მუდამ ხელთ ექნებათ ყოველი საჭირო ცნობა. გარდა ამისა საქონელს მოტანა უნდა ჯერ ტფილისამდე, მერე აქედან რაიონებში დაგზავნა თითოეულ კოოპერატივის სახელობაზე. სად წვრილ-წვრილად მიღება და გზავნა და სად მრავლობით გამოწერა და პარტიობით განაწილება. ყოველი უკან დარჩენილი გროში კოოპერატივების კასაში ამ მხრივაც წლის თავზე საგრძნობელ თანხას შეადგენს იგივე საზოგადო საქმისათვის მოსახმარს.

ვ. **რცხილაძე.**

რას გამოველით სოფლის კოოპერატივებიდან

სოფლის კოოპერატივი ჩვენში იგივე მადლს მოჰფენს ჩვენს სოფელს, რაც სხვაგან მოუფენია, მხოლოდ ერთის პირობით კი: თუ მისი დამაარსებელნი გამოიჩენენ შესაფერს უნარს, მხნეობას, და გულით მოეკიდებიან საქმეს.

საზღვარგარეთ, სადაც კოოპერატივის მოქმედება აკვირვებს ყოველ მკვლევარს, სადაც წვრილ მოკავშირეთა საერთო ქონება მილიონებით ითვლება დღეს, ყოველი მათი უძრავი თუ მოძრავი საკუთრება აოცებს მნახველს თავისი სიდიადით, სილამაზით, თავისი ღირებულობით, წარმოსდგა ისეთივე ღარიბ და წვრილ მეურნეთა შეერთებით, როგორებიც დღეს ჩვენი მეურნეთა უმრავლესობაა.

გარემოება, რომელმაც შექმნა საზღვარგარეთელ კოოპერატივების ესეთი სიდიადე, უმთავრესად მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველი წევრი ახლად დაარსებულ კოოპერატივისა უყურებდა ამ კოოპერატივს როგორც თავის საკუთარ საოჯახო საქმეს და გულმხურვალედ იცავდა ყოველ შემთხვევაში მის ინტერესებს.

ესეთი კოოპერატიული მოძრაობა საზღვარგარეთ დაიწყო მხოლოდ მაშინ, როცა ხალხმა ჯეროვანი ფასი დასდო თავის სოფლის მეურნეობას და მთელი თავისი ძალღონე იმის აღორძინებისაკენ მიმართა.

დღეს ჩვენ სოფელშიაც ცოტ-ცოტაობით იღვიძებს ესეთი ინტერესი. თუ აქამომდე ჩვენი სასოფლო მეურნეობა ცხრაკლიტულში იყო ჩაკეტილი და არაფერი არ ეინტერესებოდა, დღეს, მადლობაა ღმერთს, ასე აღარ არის, თითო-ოროლა მემამულემ უკვე მიჰყო ხელი ინტენსიურ მეურნეობას. სოფლის ხალხის აქეთ-იქით მიხლა-მოხლამაც ცხოვრებაში მეტი ყურადღება მიაქცევინა ამ ხალხს მამა-პაპიდგან ნაანდერძევ მეურნეობისაკენ, რომელსაც ათასი წლობით უტარებია ჩვენი წარსული და მოუნიჭებია ჩვენთვის აწმყო. თუ აქამდე ჩვენი გლეხი არ ეძებდა არც რჩევა-დარიგებას, არცა რაიმე ახალის ნახვა-გაგებას, ეხლა იგი დიდის ყურადღებით უგდებს ყურს ყოველ გამოცდილსა და საქმის მცოდნე დამრიგებელს, დაუზარებლივ მიდის რამდენიმე დღის სავალზე სხვის ნამუშავრის სანახავად, რომელზედაც მას ქება რამ სმენია.

იქ სადაც ესეთი ინტერესი მეურნეობის გაუმჯობესობისა ჯერ არ არის გაღვიძებული, სადაც ერთხელ ჩამოყალიბებული მეურნეობა მძიმე ლოდივით დევს ერთ ალაგას, და არ სცილდება იმ მკვდარ კონწოხს, რომელზედაც

აუყვანია იგი ოდესმე ყამთა-ვითარებას, სადაც მისი განვითარება იმ დროის ცოდნა-გამოცდილების შედეგია, როდესაც ხალხმა ჯერ არ იცოდა რის აღება შეუძლიან მას მიწიდან ან მიწას რა შეუძლიან მას მისცეს, სადაც ხალხი აღარ ელტვის აღარაფერს ახალს, ხოლო იმითი იწყობს და ათავებს ამ მეურნეობას, რომ სთესავს პურს და როცა მოვა, მომკის და ასე იმეორებს ყოველწლივ უცვლელად, როგორც მზის ამოსვლა-ჩასვლაა უცვლელი, იქ სადაც მეურნე ფიქრობს რომ მან ყველაფერი უკვე იცის და მეტის ცოდნა საჭირო აღარ არის მისთვის, იქ კოოპერატივიც მეტი ბარგია ხალხისათვის.

საფუძველი ექნება კოოპერატივს სადაც სამეურნეო ცხოვრების ნიადაგი უკვე შემთბარა და ამოძრავებულა, სადაც ყოველი პატარა მეურნე ცდილობს ააფერადოს თავისი მეურნეობა ისე როგორც ამას ადგილობრივი პირობები თხოულობენ, სადაც მეურნეს გაზრდია მოთხოვნილება და ცდილობს შემოსავალიც გაზარდოს, რომ ცხოვრება დაიკმაყოფილოს.

ამიტომ კოოპერატიული მოძრაობის განვითარება ხვედრია არა რომელიმე განსაკუთრებული მიწა-წყლისა, ეროვნებისა, არამედ ყველა იმათი, რომელთაც თავიანთ ცხოვრებაში გაუმჯობესობის შეტანა მოუწადინებიათ, ვისაც გადაუწყვეტნია თითონვე იზრუნოს თავის თავის გაბედნიერებაზე.

ისეთი ძმური გაამხანაგება, როგორიც ხდება კოოპერატივში, ბევრნაირად ზედგავლენობას ცხოვრების გალაზათიანებაზე, გასპეტაკებაზე. კოოპერატივის მოქმედება აშკარად უმტკიცებს ხალხს, რომ ბედნიერი ცხოვრება თითოეული ადამიანისა, მისი გაღონიერება მატერიალურად დამოკიდებულია ამ ადამიანთა ერთმანეთთან შეკავშირებაზე, ძმურად ცხოვრებაზე, და არა იმაზედ, ვინ ვის უფრო კარგად წამოსდებს სარმას, გამოგლეჯს ლუკმას, დასჩაგრავს, გაალტაკებს.

კოოპერატივი ზრდის თავის წევრებში მოთბინებას, ურთიერთისადმი პატივისცემით მოპყრობას და ყოველ წევრს უღვიძებს გულში იმედს, აძლევს რწმენას, რომ ადამიანი მართლა მძლეთა-მძლეა, მეფეა ცხოვრებისა.

ვ. გულბაათიშვილი.

მეორე გამოფენა-ბაზარი ხილისა და ბოსტნეულებისა

მეურნეთა მიმართ

მ. ხ.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილებასთან ერთად 29 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე ამა წლისა მართავს ქ. ტფილისში მეხილეობისა და მებოსტნეობის ნაწარმოებთა მეორე გამოფენა-ბაზარს.

გამოფენა იმართება შემდეგი მიზნით: ა) ხილის ნიმუშების გამოფენით უნდა დაიხატოს, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენში დღეს სამრეწველო მეხილეობა, ბ) გამოფენამ უნდა გაგვაცნოს, თუ რანაირი ნაწარმოების მიღება შეიძლება ხილის ხელოვნურად დამუშავებით, გ) ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებელთა და მოვაჭრეთა დაახლოებას მწარმოებლებთან, რათა მით გაადვილდეს ხილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაღება, დ) ხელი შეუწყოს ხილის პირდაპირ გასაღებას, როგორც თვით მწარმოებლის მიერ, ისე საორგანიზაციო კომიტეტების შუამავლობით.

რომ შეიძლებოდეს მეხილეობის ნაწარმოები გავაცნოთ მომხმარებელთ და მოვაჭრეთ, ხილი უნდა გამოიფინოს გადარჩეული და ჩალაგებული ისე, როგორც მოითხოვს საბაზროდ მიღებული წესი, შემუშავებული პეტერბურგის ბირჟის კომისიის და რუსეთის მეხილეთა საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

არა ნაკლებ საინტერესო იქნება გამოიფინოს ისეთი ხილიც, რომელიც შეიძლება ცოტა არის ჯერ, მაგრამ თავისი თვისებისა გამო სასურველია გავრცელდეს ამა თუ იმ რაიონის სამრეწველო ბაღებში.

მეტად დიდ ინტერეს წარმოადგენს ეხლანდელ დროში აგრედვე ყველა ის, რაც შეეხება ხილის კონსერვების მომზადებას და ხილისა და ბოსტნეულების სხვადასხვანაირად დამუშავებას, რასაც თანდათან ჩვენში მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

დიდ სარგებლობას მოუტანს ხილით ვაჭრობას ჩვენში, რომ გამოფენაზე შემსვლელთ ეჩვენოთ სხვადასხვა მასალა, რომელსაც ხმარობენ ხილის გადარჩევაში და საგზაოდ ჩაწყობაში.

აგრედვე დიდად საინტერესო იქნება ყველა იმის გამოფენა, რაც ხელს შეუწყობს სამრეწველო მეხილეობისა და მებოსტნეობის აწინდელ მდგომარეობის თვალნათლივ დახატვას (რუქები, მაჩვენებელი იმისა თუ სად რამდენად არის ჩვენში გავრცელებული მეხილეობა, სამრეწველო ხილის ჯიშთა სიები, მაზარალებელ სენთა კოლექციები და სხ.) და აგრედვე ყველა ის, რაც ამა თუ იმ მეურნეობას დაგვიხატავს სავსებით.

გაუწყებთ რა ამას, საორგანიზაციო კომიტეტი უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა თქვენის ბაღის ნაწარმოების გამოფენით და ხელი შეუწყოთ ამ გამოფენის შესახებ საჭირო ცნობების გავრცელებას თქვენს რაიონში კავკასიის მეხილეობისა და მებოსტნეობის ასაღორძინებლად და ხილით ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

გამოფენის პროგრამა

I. მეხილეობა.

კავკასიის ნედლი ხილი. ჯიშები: კავკასიური, რუსული, ევროპიული და სხვაგნებური (არა ნაკლებ 5 გირ. თითოეული ჯიში; სამეცნიერო კოლექციისათვის იკმარებს სამ-სამი ცალიც თითოეული ჯიშიდან).

II. მევენახეობა.

ყურძენი ვაზზედ ან დაკრეფილი. ჯიშები: საჭმელი, ღვინოთ დასაწური, სამკურნალო, საჩამიჩე, მწნილად ჩასადები (არა ნაკლებ 5 გირ. თითოეული ჯიში).

III. მაღალი ფასის კულტურები

ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და სხ. (არა ნაკლებ 10 ცალი თითოეული ჯიში).

IV. მებოსტნეობა.

ბაღ-ბოსტნეული: ფოთლებიანი, პარკებიანი, ბოლქვნარნი.

V. ხელოვნურად დამუშავებული ხილი და ბოსტნეული.

1. ხილისგან და ბაღ-ბოსტნეულისაგან მომზადებული კონსერვები (არა ნაკლეა 5 გირ. თითო ჯურა);

2. გამხმარი, დაჩირული, დაჩამიჩებული ხილი და ბალ-ბოსტნეული (არა ნაკლებ 2 გირ. თითოეული ჯურა).

3. ხილი და ბალ-ბოსტრეული მომზადებული შაქრით, ძმრით, მარილწყალში და სხ. (არა ნაკლებ 2 გირ. თითოეული ჯურა).

VI. მელვინეობა.

მაგარი სასმელები, წყლები, ბადაგნი, ძმარი სხვადასხვა ხილისაგან მომზადებული (არა ნაკლებ 3 ბოთლი თითოეული ჯურა).

VII. თესლეულობა.

ხეხილისა და ბალ-ბოსტნეულების თესლი მიღებული საკუთარი მეურნეობით, ან აქვე ალაგობრივ მომზადებული (არა ნაკლებ ხეხილის თესლი 3 გირ. და ბოსტნეულისა 1/4 გირ).

VIII სანერგეები.

უჯიშო ნერგები (არა ნაკლებ 100 ცალი თითოეული ჯიში), ნამყენები ტან-მაღალი ხეხილისა და ნაგალა ხეხილებისა, ნახარები გარედ ნიადაგში, ხის კასრებში და საყვავილე ქილებში. ამერიკულ ვაზის ნამყენები (არა ნაკლებ 10 ცალი თითოეული ჯიში).

IX. მებაღეობაში და მებოსტნეობაში მიღებული სატეხნიკო იარაღები.

სარწყავ წყლის გამოყვანაში სახმარი იარაღები. მებაღეობაში და მებოსტნეობაში სახმარი იარაღები, საეტიკეტო, ასახვევი და წასასმელი მასალა. მებაღეობაში სხვადასხვა სენთა წინააღმდეგ სახმარებელი წამლები და ამ წამლების შესასხურებელი და მოსაბნევი იარაღები, ბაღში სამუშაოდ სახმარი იარაღები. ხილისა და ბოსტნეულის გასახმობი იარაღები.

X. ხილისა და ბოსტნეულის ჩაწყობა და ჩასაწყობები საგზაოთ და ადგილობრივ შესანახად.

ხილის ჩასაწყობი კალათები, ყუთები, ბურბუშელა და სხ.

სხვადასხვა წესით ჩაწყობა ხილისა ყუთებში, კალათებში და სხ.

XI. სამეცნიერო და სახელოვნო განყოფილება.

ლიტერატურა მეხილეობის, მევენახეობის და მებოსტნეობის შესახებ, ხილისა და ბოსტნეულის დაჩირვა-გახმობის შესახებ, მაზარალებელ მწერ-ჭიასოკოთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხ.

მოდელები ხილისა და სხვადასხვა საგნებისა, რომელნიც შეეხებიან მეხილეობას და მებაღეობას.

მაზარალებელ სენთა კოლექციები.

სენისაგან დაავადებული ხეხილის და ბაღ-ბოსტნეულის ნიმუშები.

გამოფენა შეიძლება ისეთი საგნებისაც, რომელნიც აქ არ არიან მოხსენებულნი, მაგრამ ეკუთვნიან მებაღეობას ან მეხილეობას.

გამოფენის წესი

§ 1. გამოფენას აქვს აზრად: დახატოს აწინდელი სურათი მეხილეობისა, მებოსტნეობისა და მათთან დაკავშირებულ სხვა სამეურნეო დარგთა მდგომარეობისა; გააცნოს ხალხს ამ დარგთა ნაწარმოები ბუნებრივი სახისა და ხელოვნურად დამუშავებული; დაუახლოვოს მომხმარებელს მწარმოებელი და ხელი შეუწყოს ამ სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგთა შესახებ ცოდნა-გამოცდილების გავრცელებას.

§ 2. გამოფენის ყველა საქმეებს განაგებს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც არჩეულია საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების და საიმპერატორო რუსეთის მეხილეთა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების მიერ.

§ 3. საორგანიზაციო კომიტეტი არჩევს გამოფენის კომისარს, რომელსაც ამტკიცებს საიმპერატორო კავ. სამეურ. საზოგადოების და საიმპ. რუს. მეხილეთა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა შეერთებული კრება.

§ 4. კერძო პირნიც და დაწესებულებანიც, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაში თავიანთი ნაწარმეობის გამოფენით, მიმართვენ განცხადებით საორგანიზაციო კომიტეტს, თანახმად მიღებული წესისა, პირველ სექტემბრამდე 1913 წლისა, რათა, კომიტეტმა შესძლოს გამოფენაზე ადგილების განაწილება და წინდაწინვე დამზადება.

§ 5. ნაწარმოებთა მიღება გამოფენაზე დაიწყობა 7 დღით ადრე და გათავდება 1 დღით წინ გამოფენის გახსნამდე.

შენიშვნა: ექსპონატები მოსული აღნიშნულ დროის შემდეგ გამოიფინებიან, უკეთუ იქნება თავისუფალი ადგილი.

§ 6. ნაწარმოებს მოიტანენ პატრონები გამოფენაზე თავიანთი ხარჯით. ვინც ისურვებს რომ მისი საქონელი ვაკზლიდან გამოფენაზე საორგანიზაციო კომიტეტმა მიატაინოს, მან უნდა მისატანი 30 კაპ. გადაიხადოს ფუთზე. იგივე პირობებით კომიტეტი კისრულობს გამოფენილ საქონლის უკან გაგზავნას რკინის გზით, როცა გამოფენა გათავდება, ხოლო ამ შემთხვევაში გასაგზავნი ფული წინადვე უნდა გადაიხადოს საქონლის პატრონმა. ფასდადებით გამოგზავნილი საქონელი პატრონმა თითონ უნდა გამოისყიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი არ მიიღებს ამ საქონელს გამოსაფენად.

§ 7. ვისაც სურს თავის საქონლის გამოსაფენად თვით დადგას პავილიონი, მან უნდა ამ პავილიონის გეგმა წარმოუდგინოს საორგანაზაციო კომიტეტს დასამტკიცებლად 1 სექტემბრამდე. პავილიონები უნდა მზად იყოს სამი დღით წინ გამოფენის გახსნამდე.

§ 8. ხილი, ბოსტნეული და ყოველი სხვა საქონელი, რომელიც კი შეიძლება დალპეს, გაფუჭდეს, უნდა პატრონებმა გამოცვალონ ხოლმე ახალზე. წინაალმდეგ შემთხვევაში კომიტეტს შეუძლიან დაზიანებული საქონელი ააღებინოს გამოფენიდან.

§ 9. შესანიშნავი ღირსების საქონელი და მონაწილეობა დაჯილდოებული იქნება.

§ 10. გამოფენილ ნაწარმოებთა ღირსების შეფასებას მოახდენს საექსპერტო კომისია, რომელსაც არჩევს საიმპ. კავ. სამ. საზოგადოების და საიმპ. რუს. მეხილეთა ადგილობრივ განყოფილების წევრთა შეერთებული კრება. ორი წევრი ამ საექსპერტო კომისიისა უნდა აარჩიონ გამოფენილ საქონელთა პატრონებმა. საექსპერტო კომისია საბოლოოდ სწყვეტს ყოველ საკითხს და განსაჩივრება მისი დადგენილებისა არსად არ შეიძლება.

§ 11. ჯილდოთ მიეცემათ საპატიო დიპლომები, მენდლები, სამენდლო დიპლომები და ქების მოწმობები.

§ 12. ნაწარმოების გამოსაფენად ორ-ორი კვ. არშინი ადგილი უფასოდ დაეთმობათ საქონლის პატრონებს, ზედმეტი ადგილისა კი გადახდებათ ფასი: თითო მანეთი თითო კვ. არშინ ადგილზე. გარდა ამისა ნაწარმოების პატრონთ დაეკისრებათ აგრედვე თითო მანეთი ეტიკეტების მოსამზადებლად, სადაც იქნება წარწერილი სახელი, გვარი და მისამართი ნაწარმოების პატრონისა.

§ 13. გამოფენილ საქონლის პატრონები მოვალენი არიან დაემორჩილნენ როგორადაც ამ წესებს, ისე საორგანიზაციო კომიტეტის და მის მიერ დანიშნულ გამგე პირთა განკარგულებებს.

§ 14. გამოფენაში მონაწილეობის მიმღებმა თავის განცხადებაში უნდა აღნიშნოს, თუ როგორ მოექცეს მის საქონელს საორგანიზაციო კომიტეტი, როდესაც გამოფენა გათავდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი შეინახება და პატრონს შეუძლიან უკან დაიბაროს:ნედლი ხილი-ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი საქონელი კი ორ კვირაზე. რაც არ წაიღება ამ ხანში, იგი გამოფენის სასარგებლოდ რჩება.

§ 15. ურიგო არ იქნება, რომ გამოფენილ საქონელს ეტიკეტები ჰქონდეს ზედ-გაკრული შემდეგის ზედწარწერით:

ა). ვისგან გაიჩინა პატრონმა ეს ჯიში; თითონ ამყნო, თუ ნამყენი ნერგი გამოართვა;

ბ). ჯიშის სახელები პომოლოგიური და ადგილობრივი;

გ). როდის მწიფდება ამ ჯიშის ხილი (ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში, თუ დაკრეფის შემდეგ შენახული, ვიდრე როდემდე);

დ). რამოდენა იზრდება ხე;

ე). რანაირს ჰავასა და ნიადაგს თხოულობს;

ვ). როგორი გამძლეობა აქვს: რამდენად იტანს უამინდობას და სხვა და სხვა ჭია-მწერთა და სოკოთაგან დაავადებას;

ზ). რამდენი ხე დგა ამ ჯიშისა ბაღში, დაახლოებით მაინც;

თ). როგორი სხმოიარობა იცის.

ბლანკები ამ ცნობების აღსანიშნავად ამასთანავე იგზავნება.

§ 16. ხილის ჩასაწყობი მასალა: ხის ბურბუშელა, დაჭრილი ქაღალდი, ჩინური ქაღალდი და სხ. შეუძლიანთ მსურველთ დაიბარონ საიმპ. კავ. ს. ს. საზოგადოებიდან.

§ 17. გამოფენაზე შესვლა ბილეთებით იქნება. ფასი ბილეთებისა: დიდებისათვის 20 კ., პატარებისთვის—10 კ.

§ 18. გამოფენის დროს გაიმართება ლექციები, უჩვენებენ ხეხილის დარგვას, ხილის გახმობას, კონსერვების მომზადებას და სხ.

§ 19. ყველაგვარ ცნობების მისაღებათ გამოფენის შესახებ მსურველნი მიმართვენ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს:

Тифлисъ, Импер. Кав. О. С. Хозяйства, Барятинская ул., № 5.

ბაზარი

§ 1. ღვინობისთვის 1-დან 16-მდე გამოფენაზე გაიმართება გამოფენილ საქონლის გასყიდვა.

§ 2. ბაზრის გამართვას გამოფენაზე ის აზრი აქვს, რომ თვით მწარმოებელთ მიეცეთ შეძლება უშუამავლოდ გაყიდონ თავიანთი ბაღის ნაწარმოები პირდაპირ მომხმარებელზე.

§ 3. ბაზარზე გასაყიდი საქონელი მხოლოდ თვით მწარმოებლებისაგან მიიღება. მიღების წინ ნაწარმოები გაიშინჯება კომიტეტისაგან და რაც უვარგისი აღმოჩნდება, იმას არ დაუშვებენ ბაზარზე გასაყიდად.

§ 4. საქონელს გაყიდის ან თვით საქონლის პატრონი, ან მის მიერ დანიშნული კაცი და ან ვისაც თვით კომიტეტი დაავალებს.

§ 5. საქონელს ფას დაადებს თვით საქონლის პატრონი.

§ 6. ფასი იმ საქონლისა, რომლის გაყიდვა კომიტეტს ექნება მინდობილი, თვით კომიტეტისაგან დაინიშნება, თუ პატრონს არა აქვს წინადვე დანიშნული.

§ 7. საბაზროდ დანიშნული საქონელი ცალკე უნდა აღინუსხოს ანგარიშისათვის.

§ 8. გაყიდული საქონლის ფასი ორდერებით ჩაბარდება გამოფენის კასას.

§ 9. კომიტეტი დასთვლის კასის შემოსავალს ყოველ დღე საღამოობით და ხვედრ ფულს გარდასცემს საქონლის პატრონებს ხელის მოწერით წიგნში.

§ 10. ნავაჭრი გარდაეცემა საქონლის პატრონს 5%-ის გამოკლებით, გამოფენის კასის სასარგებლოდ, უკეთუ თითონ პატრონი ჰყიდდა თავის საქონელს, და 10%-ის გამოკლებით, როცა კომიტეტზე იყო მინდობილი გასყიდვა.

§ 11. გასაყიდ საქონლის დასაწყობად და ვიტრინების დასადგმელად ადგილები უფასოდ დაეთმობა ყველას.

§ 12. გამგებლობა და წეს-რიგის დაცვა გამოფენაზე კომიტეტზეა დამოკიდებული, რომლის განკარგულებებს უნდა დაემორჩილნენ ყველანი, ვინც გამოფენაში მონიწილეობას მიიღებენ.

§ 13. აფიშებისა და განცხადებების დაბეჭდას გაზეთებში და ცალკე გამოფენაზე გამართულ ბაზრის შესახებ საორგანიზაციო კომიტეტი კისრულობს.

ქართულ სამეურნეო საზოგადოების ინტსრუქტორთა მოხსენებანი

წარსულ კვირას ვიყავი ერწოში. ჩემთან ერთად იყო მესაქონლეობის სპეციალისტი აგრონომი მარქაროვი, რომელმაც თან წამოიღო სეპარატორი, სადღვებელი და სხვა მერძეობაში სახმარებელი იარაღები. გვინდოდა ერწოში წასვლით გამოგვერკვია, თუ რის გაკეთება შეიძლება ერწოში მერძეობის მხრივ; შესაძლებელია, თუ არა იქ კარაქის მკეთებელთა ამხანაგობის მოწყობა.

საჭიროდ ვსთვლი მოგახსენოთ, რომ ერწო განიყოფება ორ ნაწილად.

პირველ ნაწილს ეკუთვნიან სოფლები: საყდრიონი, თელენჯა, მელიას ხევი, სვიმონიანთ ხევი და გორანა. ამ სოფლებში უმთავრესად მოსახლეობენ მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც თავიანთ თავს უწოდებენ „ქართველებს“. ესენი მისდევენ განსაკუთრებით ხვნა-თესვას. საქონლის მოშენებას და მერძეობას არ მისდევენ გარდა თითო-ოროლა კომლისა.

მეორე ნაწილს ერწოსას შეადგენენ შემდეგი ისოფლები: ღულელები, ტოლად სოფელი, თრანი, მაგრანეთი, იკვ-

ლივი, ნაქალაქარი და სხვა პატარ-პატარა სოფლები. ამ სოფლებში გარდა „ქართველებისა“ მოსახლეობენ მთიდან ჩამოსულნი გუდამაყრელნი, ფშავლები და ხევსურები. *ამ სოფლებში უმთავრესად* მისდევენ საქონლის მოშენებას და მერძეობას. რძის დამუშავება, როგორც მოგეხსენებათ, მეტად პრიმიტიულია აქ. მონაწველს რძეს სდგამენ ორჯამიანებით და ხდიან ნაღებს, რომელსაც აგროვებენ რამდენიმე დღეს. ასე მოგროვილ ნაღებს შემდეგ სდღვებავენ. რადგანაც ნაღები მჟავდება, ამიტომ კარაქი მჟავე და მეტად მდარე ღირსებისა გამოდის, რომელიც მხოლოდ ერბოდ გადასადნობად ვარგა. კარაქს მომეტებულ წილად ადგილობრივე ჰყიდიან ჩარჩებზე, ჩარექს ($2^1/_2$ გირვანქა) 70—80 კაპ., ნაღებ მოხდილ რძისას აკეთებენ ყველს, რომელიც ადგილობრივ ჩარექი ფასობს 20—25 კაპ.

უნდა მოგახსენოთ, რომ, როცა ნაქალაქარში ხალხს დავუწყე საუბარი რძის უკედ დამუშავებაზე და სუფთა კარაქის მომზადების შესახებ, ზოგიერთებმა, მომიგეს, რომ ჩვენ, თუმცა სუფთა კარაქს არ ვამზადებთ, სამაგიეროდ ბეერი გამოდისო, რადგანაც ჩვენ მიერ დამზადებულ კარაქში ცხიმის გარდა „ჭუჭყიც“ ურევიაო. რომ ეს უსაფუძვლო მოსაზრება გამექარწყლებინა, მოვატანინე რძე და მათ თვალწინ სეპარატორის საშუალებით მოვხადე ნაღები და მტკნარი ნაღებისა შევდღვიბე კარაქი. რძე მომიტანეს სულ 2 ფუთი და 8 გირ. ამ რძიდან გამოვიდა $3^1/_2$ გირ. კარაქი, ნაღებ მოხდილი რძისა კიდევ 6 გირვანქა ყველი. ნაღები განგებ შინაურ სადღვებელში შევდღვიბე, რათა დამენახვებინა, რომ კარგი კარაქის მომზადება უბრალო თიხის სადღვებელშიაც შეიძლება. სამწუხაროდ ამ დემონსტრაციას მხოლოდ *კაცები* დაესწრნენ, დედაკაცები კი, რომლებიც უმთავრესად აკეთებენ კარაქს, არ მოვიდნენ. როდესაც კარაქი ამოვიღე სადღვებლიდან და ავწონეთ, დარწმუნდნენ, რომ ჩემ მიერ შედღვებილი კარაქი არამც თუ ნაკლები, პირიქით გაცილებით მეტი გამოვიდა. როდესაც კარაქი გავუნაწილეთ რძის მომტანთ, გაიძახოდნენ, რომ სახლში დღვების დროს ერთი ჯერის რძიდან (მეც თითო ჯერის რძე მომიტანეს დასამუშავებლად) გაცილებით ნაკლები გამოდის ხოლმეო, ვიდრე ეხლა აქ გვერგოვო...

ვერც რძის ნაწარმოების გასაღებაა აქ კარგად მოწყობილი. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, კარაქს მომეტებულ წილად ჰყიდიან თელაველ ჩარჩებზე, რომლებიც ერწოში ბუზივით ირევიან. ნაყიდი კარაქი ამ ჩარსებს ხან თვითონ ჩამოაქვთ ქალაქში გასასყიდათ, ხან უზიდავენ თიანეთში მოვაჭრე აკოფოვს, რომელიც ბლომად უყრის თავს კარაქს, ადნობს ერბოდ და გზავნის გასასყიდათ სხვადასხვა მხარეს. როდესაც ეს გადმომცეს, ვურჩიე დაარსონ კარაქის მკეთებელთა და გამსაღებელთა ამხანაგობა. ჩემს წინადადებას, გარდა ხუთი-ექვსი კაცისა, ეჭვის თვალით შეხედეს. ზოგმა აღნიშნა საქმის სიძნელე, ზოგმა კიდევ სხვა მიზეზი. დიდი გავლენა იქონია ხალხზე ერთ დამსწრე სომეხ მედუქნის სიტყვებმა, რომელმაც ჩვენ დაგვსახა სეპარატორის გამსაღებელ აგენტებად, —„ამათი მიზანია რძის მაშინების გასაღებაო ისევე, როგორც ზინგერის

აგენტებისაო". მიუხედავად ამისა თითო ოროლა კაცი მაინც დაინტერესდა, დაგვიწყეს დაწვრილებით გამოკითხვა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ამხანაგობა. გამოსთქვეს სურვილი რომ წელსვე მოეწყოს ამხანაგობა იკვლივზე (იკვლივი საზაფხულო საძოვარია ერწოში, ზომით 300—400 დესეტინა), სადაც ზაფხულობით აუდით ერწოლებს საქონელი.—„შევამხანაგდეთ რამდენიმე კაცი, დავიწყოთ კარაქის კეთება იკვლივზე", იძახდა გუდამაყრელი ალექსი აფციაური—„და როდესაც დაინახვენ სარგებლობას, მაშინ ბრმებსაც აეხილებათ თვალებიო". საჭირო იარაღების შეძენაზე გამოსთქვეს სურვილი ენისიათ, ვიდრე ნაწარმოებს გაჰყიდიან. ჩემის აზრით, კარგი იქნება ქარ. სამეურნეო საზოგადოებამ აღმოუჩინოს მათ დახმარება საჭირო იარაღების შეძენაში, რისთვისაც სულ 60 მანეთი კმარა. საჭირო მანქანა-იარაღების სიას ამასთანავე ვადგენ.

ინსტრუქტორი **ალ. კახელაძე.**

საგულისხმო მოხსენება*)

რა პირობით უნდა მიეცეთ რუს ახალშენლებს სარწყავი მიწები

მებამბეობა

ურწყავი მიწები, რომლებსაც სარწყავებად გარდააქცევს სახელმწიფო, ან რომლებსაც მიიღებს სახელმწიფო კერძო მოღვაწეებთან პირობა-შეკრულობით, უნდა მთლად რუს ახალშენლებს გარდაეცეთ. უმთავრესი იმედი რუსეთის მებამბეობისა და რუსთა დასახლებისა თურქსტანში ამ სარწყავ მიწებზეა დამყარებული. პირველი მეორესთან და მეორე პირველთან უნდა იყოს შეკავშირებული და დამოკიდებული. ხოლო ამ მიწების გაცემა რუსებზე, მაგალითად, იმ პირობით, როგორც ეს ციმბირში ხდება, არ შეიძლება. მეტად ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს ამ მიწების შეძენა. ანაზღაურება ამ ხარჯისა და თვით შეწყნარება ამ არა-ჩვეულებრივი საქმისა—საახალშენოთ ახალი ტერიტორიის შექმნა—შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამ ახალ სარწყავ მიწებზე უმთავრესად ბამბის მოყვანას მოჰკიდებენ ხელს. ბამბას ამ მიწებიდან უნდა დათმოს არა ნაკლებ 1/3-ისა მაინც. მარტო მაშინ მივაღწევთ წადილს, რომელსაც ველტვით სარწყავ მიწების გამატებით—ჩვენი ხალხის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას და ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო ბამბის შინ მოყვანას.

ამ სარწყავ მიწების შესახებ სიფრთხილით მოქცევას და უფრო სარგებლიანად გამოყენებას თხოულობს არა მარტო ეკონომიკა ხალხისა, არამედ თვით ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკაც ამ ქვეყანაში. რუს ახალშენთა სოფლები მომავალში უნდა იყვნენ იქაურ ყიშლაღებზე უფრო მდიდრები. მდიდარი სარტები, რომლებმაც თავიანთი სიმდიდრე რუსეთის მფარველობით შეიძინეს, ყველაზე მეტად ძალასა სცემენ პატივს. იქაურები ჯერ ისევ მოხიბლულნი არიან ჩვენის პოლიტი-

*) იხილე **„მოსავალი"** № 9 და 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-5390

კურისა და სამხედრო ძალების სიმძლავრით და მხოლოდ ეხლა შედიან თანდათან იმის ცნობაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს, როგორც ძალას, ხალხის მატერიალურ შეძლებას---ფულს.

ეს ძალა დღეს ბამბის წყალობით სულ იმათ ხელშია. და, როგორც ზოგიერთი გარეგანი ნიშნებიდან სჩანს, რწმენა იგი თითქო ზომაზე მეტადაც კი ღრმავდება მათში.

გადმოსახლებული აქ რუსები უნდა მართველობის დახმარებით გაუთანასწორდნენ მაინც მათ. რუსებმა უნდა დიდ შემოსავლიანი მეურნეობა იგდონ ხელთ, უნდა შეძლებით იყვნენ ძლიერნი, ანუ, იქაურად რო ვსთქვათ, რუსებმა თითონ უნდა მიჰყონ ხელი ბამბის თესვას თავიანთ სასარგებლოდაც და სასარგებლოდ იმ სახელმწიფოსიც, რომელიც გზავნის მათ ასეთ განაპირა ქვეყნებში საცხოვრებლად.

ესეთია პირველი მუხლი იმ პირობისა, რომლითაც უნდა გაიცეს ხოლმე სარწყავი მიწები. რომ პირობა იგი სავსებით იყოს უზრუნველყოფილი, საჭიროა ჯერ რუს ახალშენელებს მხოლოდ მფლობელობა მიეცეთ ამ სარწყავი მიწებისა და შემდეგ, როდესაც რაოდენიმე ნაწილს ამ მიწებისას დაამუშავებენ ბამბ-ს მოსაყვანად, საკუთრებად დაუმტკიცდეთ.

რუსების მებამბეობა თურქისტანში

ამ პირობების შესრულება მაინცადამაინც არ არის ძნელი. თურქისტანშიაც და იმიერ კავკასიაშიაც დიდი ხანია დამტკიცდა რომ მებამბეები კი არ იბადებიან, როგორც ასეთები, არამედ მზადდებიან ამ დარგში ვარჯიშობით. რუსეთის დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ნოვოროსიის გუბერნიებიდან, სადაც ჭარხლისა და კართოფილის თესვას მისდევენ და შესწავლილი აქვთ მწკრივად დათესილ მცენარეებ-ს მოვლა-მოყვანა, მშვენიერი მებამბეები გამოდიან. უმეტეს ნაწილად რუსი მებამბეები თურქისტანში ვალინიდან და კიევიდან არიან გამოსულები. თურქისტანში გასაგზავნად ბევრს მებამბეებს დაზრდის აგრეედვე „გარეშე“ ერთა გლეხობა თერგისა და ყუბანის ოლქებისა, —მთელი მილიონი იმ მოიჯარადრეთა, რომელთაც არა აქვთ საკუთარი მამულები და ჩრდილოეთ კავკასიის ყაზახებიდან იჯარით აღებულს მიწებზე მუშაობენ, და რომელთაგან წარმოსდგნენ უკვე მუდანის მებამბეები.

თურქისტანში დღეს უკვე ითვლება ათამდე რუსის სოფელი, რომელნიც ბამბას სთესავენ განსაკუთრებით. იმიერ კასპიის ოლქში, მაგალითად, აგერ 15 წელიწადია მებამბეობას მისდევს სოფელი სკობელევკა, რომელიც ყოველ წლივ 200 დესეტინა მინდორს სთესავს ბამბით და თითოეულ ოჯახზე საშუალო წლის შემოსავალი 1500 მანეთამდე აქვს. სამარკანდის ოლქში შეიძლება დავასახელოთ სოფლები სრეტენსკაია, სპასკა და დუხოვსკოი, ტაშკენტის მაზრაში – ბოგოროდიცკი და ტროიცკი. ამ სოფლებში თითქმის ერთი მესამედი ყველა სარწყავი მიწებისა ბამბას უჭირავს, ესე იგი განხორციელებულია აქ უკვე რაციონალური მორიგეობითი თესვა. სოფელ სპასკაში, სადაც მე მომიხდა ყოფნა, 32% ნახნავისა ბამბაა; ამ ორს უკანასკნელს წელიწადში თითოეულმა ოჯახმა აქ ბამბის თესვას გაუმატა ერთი-ორად,

საქ. სსრ კ. მარქსის

ორი დესეტინის მაგიერ ეხლა ოთხ დესეტინას სთესენ. ადგილობრივი „ომაჩის“ მაგიერ რუს ახალშენლებმა შეიტანეს ხმარებაში რკინის გუთანი და უფრო უკეთესად მიჰყავთ საზოგადოდ თავიანთი მეურნეობა, ვიდრე სარტებს.

მურღაბის საუფლისწულო მამულში თურქისტანელებთან ერთად არიან რუსის მოიჯარადრეებიც და იმედია მომავალში ამ მამულიდან ბევრი კარგად დახელოვნებული რუსი მებამბე გამოვა, რაც საზოგადო მნიშვნელობას მურღაბის მამულისას ამ ქვეყანაში ბევრით მაღლა ასწევს, ვიდრე აქნობამდე ჰქონდა.

მიწების საკუთრებად დარიგება

მიწის მფლობელობის მიღება და ბამბის თესვა-მოყვანის დაწყობა—აი პირველი პირობა, რომ ახალშენ რუსებს მიეცეთ სარწყავი მიწები. მეორე აუცილებელი პირობა არის ამ მიწების საკუთრებად გარდაცემა თითოეულ ოჯახზე ცალკ-ცალკე, ეზო-ეზო. მებამბეობა როგორადაც დიდ შემოსავლიანი დარგი მეურნეობისა თხოულობს ყოველწლივ შედარებით დიდ ხარჯს და აზიზ მოვლას თავის დროზე, ესე იგი თხოულობს ისეთ მეურნეობას, რომელსაც სარწყავი მიწების საზოგადო მფლობელობა მხოლოდ დააბრკოლებს და ხელს შეუშლის. რომ ეს მართალია სჩანს იქიდან რომ თვით თურქისტანში ბამბას ყოველი იქაური ოჯახი ცალკე სთესავს მხოლოდ თავის საკუთარ მიწებზე, ეგრედწოდებულ „ამლიაქებზე“, მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად ბაგარო მიწებზე ცალკე საკუთრების გარდა საზოგადო მფლობელობაც არსებობს. ცალკე რუღბში წყლის გაშვება საერთო სარწყავ არხიდან და თითოეულ პატრონისაგან თავის საკუთარ მამულის ცალკ-ცალკე მორწყვა, წინააღმდეგ მუღანში შემოღებულ წესისა, მინდვრების ერთბაშად მორწყვის დროს, კატეგორიულად სწყვეტს იმ საკითხს, თუ რა ფორმა უნდა ჰქონდეს მიწათმფლობელობას თურქისტანში. სარწყავ მიწებზე დასახლებული ახალშენლებიც კი თანდათან გადადიან მიწების კომლეურად დაყოფაზე და ცალკ-ცალკე მეურნეობაზე, საზოგადო მფლობელობა რჩება მხოლოდ-ღა ბაგარო მიწებზე.

ფერგანისა და სამარკანდის ოლქებში ესეთი გაცალკ-ცალკევება მიწათმფლობელობისა უკვე მოხდარი ფაქტია, რასაც თვით გრაფ პალენის რევიზიაც ჰმოწმობს. და ასეც უნდა იყოს: ისეთი მაღალი კულტურა, როგორიც არის მებამბეობა ცალკე კომლობრივ მეურნეობას ითხოვს. ასეთივე მოთხოვნილება გარდაეცა მუღანსაც, სადაც თავდაპირველად მიწები, როგორც ერთბაშად მოსარწყავნი, სოფლის საზოგადოებებს მიეცათ საერთოდ და ეხლა კი ახალშენლები თხოულობენ ამ მიწების ცალკ-ცალკე კომლურად გამიჯვნას.

ყველას ემჯობინება, რასაკვირველია, გადასახლება თავიდანვე ასეთ გეგმაზე აშენდეს: მიწების წვრილწვრილ ნაჭრებად დაყოფაზე და ამ ნაჭრების კომლეურად დარიგებაზე.

ხელოვნურად დამზადებული მიწების დარიგება საახალშენოდ თურქისტანში არ შეიძლება მოხდეს ისეთივე უბრალო წესით, რომელიც ციმბირის „გა-

ველურებულ“ მიწებისათვისაც კი არ გამოდგა.

რამოდენა ნაჭრებად უნდა დაიყოს საახალშენო მიწები

თითოეული ნაჭერი სარწყავი მიწისა საახალშენოდ არ უნდა იყოს დიდი, რადგან სასურველია რომ რუს ახალშენთა მოსახლეობა რაც შეიძლება ხშირი იყოს და რაც შეიძლება მალე შეიმუშაონ მიზომილი საბამბე მიწები. ამიტომ თითოეულ კომლს უნდა მიეცეს მიწა იმდენი მხოლოდ, რამდენსაც პირველივე ჩამომავლობა ამ ოჯახისა შეიმუშავებს სრულად. მაგრამ სურვილი ჩვენი შევქმნათ ამავე დროს ძრიელი ოჯახი რუს ახალშენისა ეწინააღმდეგება სანადელო მიწების დაპატარავებას. ამ გარემოების მიხედვით „ნადელად“ უნდა მიღებულ იქმნას კომლზე 8—10 დესეტინა სარწყავი მიწა.

იჯარა და გასყიდვა „ნადელებისა“

რომ რაც შეიძლება მალე დაითესოს ბამბა ახალ სარწყავ მიწებზე და რუს ახალშენლებმა მალე შეისწავლონ ბამბის მოყვანა, უნდა პირველ ხანებში მიეცეთ მათ ნება ნაწილი მიზომილი მიწებისა იჯარით გასცენ სარტებზე. ერთი სოფელი „რუსკოე სელო“ დასახლებული ადგილობრივ მკვიდრთაგან ჩამორთმეულ მიწებზე ანდიჟანის აჯანყების შემდეგ, ჩვეულებრივ, წილზედ აძლევს თავის მიწებს სარტებს ბამბის დასათესად. თუმცა ასეთი მეურნეობა სასურველი არ არის რომ წესად გარდაიქცეს, მაგრამ პირველ წლობით ამ წესის შემოღების წინააღმდეგ კი ძნელია რამე ითქვას, მით უმეტეს რომ მოიჯარადრე სარტისაგან რუსი უფრო მალე ისწავლის მებამბეობას.

ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ სარტი-მუშა გადმოსახლებულ რუსის მამულზე უფრო გასაგები და სასურველი მოვლენაა, ვიდრე რუსი მოჯამაგირე სარტის ოჯახში.

„ნადელების“ გასყიდვის უფლება ერთი-ერთმანეთში ახალშენლებს უშიშრად შეიძლება მიეცეთ: ამ გზით „ნადელი“ უფრო მალე იპოვის შესაფერს პატრონს, ვიდრე არჩევანი ვაკეთოთ, ვინ დავასახლოთ. საჭიროა მხოლოდ მიღებულ იქმნას ნორმად ერთი რომელიმე ზომა მამულისა, რაზედაც მეტი არ შეიძლება ჰქონდეს ახალშენს. აგრედვე საჭიროა აკრძალულ იყოს მამულების გასყიდვა ადგილობრივ მცხოვრებლებზე და გარეშე ქვეყნის ქვეშევრდომზე.

ფასით გაცემა მიწებისა

უკანასკნელი მუხლი იმ ძირითად დებულებისა, რომელზედაც უნდა აშენდეს რუსთა მოსახლეობა სარწყავ მიწებზე, მდგომარეობს ამ მიწების ფასით გაცემაში ახალშენლებზე და არა მუქთად დათმობაში. ფასი უნდა იყოს: რაც ღირს მიწა და რამდენიც ხაზინამ დახარჯა სარწყავ არხების გაყვანაზე.

ეს პირობა აუცილებლად მიმაჩნია როგორც ხაზინის ფულის ინტერესების მხრივ ისე ფსიხოლოგიის მხრივაც. ნასყიდობა ძვირფასია ნაჩუქარზე, მყიდველი უფრო საიმედოა მოწყალების მიმღებზე. ხოლო ამასთანავე ვფიქრობ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რუს ახალშენლებს შეღავათი უნდა მივცეთ ამ მიწების ფასის გადახდაში: ვალის ნაწილ-ნაწილ გადაწყვეტით, ფულის მაგიერ მოსავალის ნაწილის აღებით და სხვ.

სახელმწიფო დახმარება.

აგრედვე საჭიროა სახელმწიფომ მეტი მზრუნველობა აღმოუჩინოს რუს ახალშენლების მებამბეობას აგრონომიულის დახმარებით და წვრილი კრედიტით. ასეთ დახმარებას თანდათან მეტი მნიშვნელობა მიეცემა არა მარტო მით რომ სარწყავი მინდვრები გაიმატებენ, ბამბა მეტი დაითესება მომავალში, არამედ უფრო იმიტომ რომ აგრონომიულ დახმარებას და წვრილ კრედიტს რუსი ახალშენი უფრო ჰსაჭიროებს, ვინემ სარტი. თურქისტანში რუსის გლეხობა ისე როდი უყურებს აგრონომს როგორც ეს შუა რუსეთშია. აგრონომი თურქისტანში უფრო ესაჭიროება გლეხს. ვიდრე ეს გლეხი თვით შეისწავლის მებამბეობას, იგი გაფაციცებით უგდებს ყურს აგრონომის დარიგებას და, როგორც ყველანი ირწმუბიან, სარტზე მეტად ცდილობს ტეხნიკის გაუმჯობესობას ახალი მანქანაიარაღების ხმარებით.

თუ მებამბე სარტის გაჭირებულ მატერიალურს მდგომარეობას ვერ შევრიგებივართ, მაშ რუს ახალშენის გამართვა იაფი სესხით და ადგილობრივი ჩარჩისაგან (ბაებისაგან) მისი დახსნა ერთიორად უფრო სასურველი და დიდ მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფოსათვის. სარტ-მებამბეს რომ წაუვიდეს ხელიდან მამული მის მოადგილეთ ისევ სარტივე ჩადგება, ხან რუსიც. ისეთი შემთხვევა კი რომ შეძლებულმა სარტმა ჩამოართვას მამული რუს ახალშენს ყოვლად შეუწყნარებელი უნდა იყოს ჩვენთვის ისე როგორც არ არის დასაშვები საზოგადოდ სხვა რაიმე გვარი გათამამება შეძლებული სარტისა.

რუსთა გადასახლების მომავალი თურქისტანში

ახალ სარწყავ მიწებზე, რომელთაც დასჭირდებათ ახალი გუნდი მუშებისა, ინტერესები მებამბეობისაც და რუსთა გადასახლებისაც ერთად იყრებიან. მათ შორის არჩევანი ზედმეტია: იგია ორი მხარე სახელმწიფოს ერთი და იგივე საქმისა. მარტოოდენ ახალ სარწყავ მიწების გამატებას ძალუძს მისცეს რუსეთს რუსული თურქისტანიც და მთელი ის ბამბაც, რაც ჩვენს ფაბრიკებს სჭირდებათ. ამიტომ უმთავრესი საფუძველი რუსეთის მართველობის მისწრაფებისაც სწორედ ამ სარწყავ მიწების გამატებაშია.

სამი მილიონი დესეტინა სარწყავი მიწიდან მებამბეობას დაეთმობა ერთი მილიონი მაინც, ე. ი. 20 მილიონი ფუთით იმატებს ბამბის მოსავალი და 300 ათას ლონიერ ოჯახს დაასახლებს, ესე იგი $1^1/_2$ მილიონ რუსს მისცემს საცხოვრებელ ბინას.

ასეთია მისწრაფება, ასეთია საჭურჭლე მართველობის მოქმედებისა თურქისტანში.

თავი IV

საერთო დასკვნა

მოსალოდნელი ხარჯი ხაზინისა.

ზემოთ აღნიშნული მისწრაფებანი— სარწყავ არხების გაყვანა, თურქისტა-

ნის რუსებით დასახლება, მებამბეობის გაფართოება—აუცილებლად მოითხოვენ ხაზინისაგან დიდ ხარჯს: დაახლოებით 700 მილიონ მანეთამდე. რომ ეს ხარჯი ზედმეტად ანაზღაურდება, ამისი დამტკიცება ადვილია მარტო სარწყავი მიწები ელირებიან ერთად 2 მილიარდი მანეთი.

ცხადია აგრედვე, რომ სარწყავი არხების გამატება თანდათანობით უნდა მოხდეს და არა ერთბაშად, რომ უკვე სარწყავებათ გარდაქცეულ მიწების იჯარით გაცემა ან გასყიდვა იძლეოდეს ახალი არხების გასაყვანათ საჭირო თანხას.

გამართლდება თუ არა ეს მოსაზრება, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს, როცა პირველი ჯერი სამუშაო დასრულდება და მივიღებთ ახალ სარწყავ მიწებს.

მაგრამ მაინცა და მაინც საქმის დასაწყობათ კარგა ფული დაეხარჯება ხაზინას. ეს საჭიროა თავიდანვე ითქვას დაუფარავად და გაბედვით

თურქისტანის მიწების სარწყავებათ გარდაგცევა შეუძლებელია უფულოდ, ამას დასჭირდება დიდი ძალი ფული უსათუოდ.

თუ სახელმწიფო მიწების მოსარწყავად ძრიელ ცოტა რამ არის აქ გაკეთებული აქამომდე, ეს იმიტომ რომ ამ საქმისათვის საჭირო თანხას არც თხოულობდნენ და არც იძლეოდნენ, ვიზედაც იყო დამოკიდებული. რასაკვირველია, დიდად აფერხებდა ამ საქმეს გამოცდილ გიდრავლიკების სიცოტავეც; მე სავსებით მაქვს წარმოდგენილი ამ გარემოების მნიშვნელობა, მაგრამ მაინცა და მაინც უმთავრესი შემაფერხებელი ძალა ამაში არ იყო. კარგი გიდროტეხნიკები ცოტანი არიან რუსეთში, მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ცოტათი ამაზე უწინ ისინი სხვაგანაც არსად არ ყოფილან ბლომად. მათი გამრავლება და გავარჯიშება დამოკიდებულია პრაქტიკულ მუშაობაზე. მარტო ცდა იძლევა ნამდვილ ცოდნას, მარტო შრომა ჰქმნის ნამდვილ მუშას. რუსებმა უკვე გამოიჩინეს ნიჭი ბევრს საინჟენერო საქმეში. თვალ-წინ გვაქვს უტყუარი საბუთი ამ ნიჭისა სარწყავ არხების გაყვანის საქმეშიაც. საბუთი იგი მურღაბის სარწყავი არხებია. გარდა ამისა შეიძლება საზღვარგარეთიდამაც მოვიწვიოთ ინჟენრები, როგორც კერძო პირნი სჩადიან. ერთი სიტყვით, მცოდნე პირნი მოიპოებიან ოღონდ ფული იყოს. ნაწილს ამ ფულისას—რაც მეტი იქნება ეს ნაწილი, მით უკეთესი—მოიცემიან, იმედი გვაქვს, კერძო მოღვაწენი, ხოლო უმეტესი ხარჯის გაწევა კი ხაზინას დასჭირდება.

ხაზინას თურქისტანი შემოსავალს მეტს აძლევს, თუ ზარალს?

რაკი საჭირო თანხას თურქისტანის საქმეებისათვის სახელმწიფო ხაზინისაგან გამოველით, მეტი არ იქნება გამოვარკვიოთ, რას წარმოადგენდა აქამომდე თურქისტანის შემოსავალ-გასავალი. რუსეთს აწევს კისერზედ ეს ქვეყანა თავისი ხარჯებით, თუ პირიქით ეხმარება მას მეტის შემოტანით?

ეს კითხვა დიდი ხანი გადაუწყვეტელი იყო. ცენტრალური მართველობა გრაფ დ. ა. ტოლსტოიდან დაწყებული ჩვენ დრომდე იმ აზრისა იყო, რომ თურქისტანი მთელს ისტორიაში „საიშვიათო კოლონიას წარმოადგენს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავისი ხარჯებით მეტროპოლიას აწევს კისერზედ".

თურქისტანის გენერალ-გუბერნატორები კი ამტკიცებდნენ პირიქით, რომ თურქისტანი წმინდა შემოსავალს აძლევს რუსეთს და არა ზარალსო.

ორივე მხარეს თავანთი აზრის დასამტკიცებლად მოყავდა ციფრები; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ერთი მხარე ერთს სთვლიდა ხარჯად, მეორე—მეორეს. უთანხმოებას იწვევდა, მაგალითად, საკითხი: სამხედრო ხარჯი თურქისტანში მთლად თურქისტანს უნდა ჩაეთვალოს ხარჯად, თუ სახელმწიფოს მოვალეობაა თურქისტანის დაცვა და ამიტომ ხაზინამ უნდა იკისროს ნაწილი ამ ხარჯისა? როგორ ვიანგარიშოთ რკინის გზის ხარჯი და სხვ.

ამ ორი შეხედულების მოსარიგებლად უკანასკნელს დროში გამოითქვა მესამე აზრი გრაფ პალენის სარევიზიო მოხსენებაში. პალენის სიტყვით არც რუსეთს და არც თურქისტანს საბუთი არა აქვთ ერთმანეთს წაედავნენ. თურქისტანის ბალანსში არც შემოსავალი სჭარბობს და არც ზარალი; თუ რამე განსხვავება არის, ისევ მოგებისაკენ, ცენტრალური რუსეთი მეტს იღებს ხოლმე თურქისტანიდან, ვიდრე მასზედ ხარჯავს.

მაგრამ ძნელია ამითი დავკმაყოფილდეთ. დაპყრობილ აზიის განაპირა ქვეყნიდან, რუსეთის კოლონიიდან, სახელმწიფოს უფლება აქვს მეტი შემოსავალი ჰქონდეს, ვიდრე თითონ ხარჯავს ამ ქვეყანაზე სამხედრო ხარჯის ზედ-მითვლით. დაკმაყოფილება ბალანსით, რომელიც თავდება ნოლით—შემდეგ იმისა როდესაც უკვე ნახევარმა საუკუნემ განვლო, რაც ვუფლობთ ამ მდიდარი განაპირა ქვეყანით—დასტური იქნებოდა იმისა, რომ ჩვენ არაფრად ვაგდებთ ეკონომიურს შედეგს რომელიმე ქვეყნის დაპყრობაში.

მარტო ჩვეულებრივი ყოველწლიური შემოსავალ-გასავლი ამ 42 წლის განმავლობაში, რაც რუსეთი უფლობს ამ ქვეყანით, რომელიც ჩემის თხოვნით არის შეღგენილი ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოკრეფილ ცნობების თანახმად, გვიჩვენებს რომ თურქისტანი ჩვენ 150 მილიონი მანეთი გვიზის გარდა იმ 164 მილიონი მანეთისა, რომელიც ზედმეტად რკინის გზის გაყვანაზეა დახარჯული.

ჩვეულებრივ ხარჯების გასასტუმრებლად სახელმწიფო ყოველწლივ $3^1/_2$ მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავდა თურქისტანზე, ვიდრე იქიდან შემოსდიოდა, და მხოლოდ ამ უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში შემოსავალმა ცოტათი გადააჭარბა ხარჯს. ამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში რომ ავიღოთ საშუალო წელიწადი, ე. ი. 1909 წ. და გავშინჯოთ, ვნახავთ რომ თურქისტანიდან შემოსავალს გადუჭარბებია ხარჯზე ამ წელს 1 მილიონი მანეთით.

რომ სწორედ დაფასდეს ამ ერთი მილიონის გადაჭარბება, საკმარისია გავიხსენოთ რომ იმავე 1909 წელს საერთო შემოსავალი სახელმწიფოში (ფინლანდის გარდა) სჭარბობდა ხარჯს 135 მილიონი მანეთით.

რომ შევადაროთ ეს რიცხვები მცხოვრებელთა რიცხვს რუსეთში და თურქისტანში, მიუხედავად მიწათმფლობელობისა და ამ მიწების ფასებისა, გამოვა რომ თურქისტანი ოთხჯერ ნაკ-

ლებ შემოსავალს აძლევს რუსეთს, ვიდრე სახელმწიფოს სხვა ნაწილები იძლევიან თითოეულად.

ამგვარად გამოდის რომ წელში გამაგრებული მატერიალურად თურქისტანის მკვიდრნი არამც თუ არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ სახელმწიფოს ხარჯებისა და ვალების გასტუმრებაში, არამედ საკუთარ მათ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც კი სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდათ დახმარება ვიდრე 1 907 წლამდე.

რასაკვირველია ესეთი ანგარიში ცალმხრივია. თურქისტანი როგორც კოლონია აძლევს რუსეთს გარდა ფულით პირდაპირ გარდასახადისა კიდევ სხვა დიდ ნივთიერ შემოსავალსაც: ყველაზე უწინარეს ბამბას, მერე აბრეშუმს, ხილს, თევზს, მატყლს და სხ.

თურქისტანი იმ ფულიდან, რასაც ამ ნაწარმოებებში იღებს, მომეტებულ ნაწილს ისევ რუსეთს უბრუნებს უკან აქედან გატანილ ბამბეულობაში, რკინაში, პურში, შაქარში და სხ.

ცენტრალურ რუსეთის და თურქისტანის შორის ვაჭრობა ცოცხლდება, იზრდება თანდათან და ამის გამო ორენბურგი-ტაშკენტის რკინის გზა თავის შემოსავლით ლამის არის ძველად გაყვანილ რკინის გზებს დაეწიოს და კიდევაც დაწინაურდეს. ამ გზის წმინდა შემოსავალი 1910 წელს შეადგენდა 7 მილიონ მანეთს, 1911 წ. 8 მილიონზე მეტს.

ისეთი რთული საკითხის შესწავლა, თუ რამდენს აძლევს თურქისტანი რუსეთის მარტო ხაზინას კი არა, არამედ მთელს რუსეთს საზოგადოდ, როგორც თავის მეტროპოლს, შეუძლიან მხოლოდ სპეციალურს გამოკვლევას.

თურქისტანის ხელუხლებელი სიმდიდრე.

თურქისტანის შესახებ მე შემიძლიან ვსთქვა ოდნივ დაკვირვების შემდეგ საზოგადოდ, რომ ჩვენი სახელმწიფო ვერა სარგებლობს ამ მდიდარი ქვეყნით იმდენად, რამდენადაც შეიძლებოდა ესარგებლნა. წარმოების განვითარებით და ამის შესაფერად გარდასახადების გაზრდით სახელმწიფოს გაცილებით მეტი შემოუვიდოდა, ვიდრე დღეს აქვს. ეხლა, როდესაც ვაპირებთ დიდძალი თანხის დახარჯვას სარწყავ არხების გასამატებლად, „ახალი თურქისტანის“ მისაღებად, უნებურად იბადება კითხვა: ამ თანხის გამოღება მარტო ხაზინამ უნდა იკისროს, თუ ძველმა თურქისტანმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა?

გარდა უბრალო „სამართლიანობისა“ ყოველი შთაბეჭდილება მიღებული ჩემს იქ ყოფნაში მხოლოდ ერთს სწორე პასუხს მაღვიარებინებს ამ კითხვაზე: ყოვლად შეუძლებელია, რომ ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორიც არის თურქისტანი, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს აწვებოდეს კისერზედ თავისი ხარჯებით და თითონ არ იკმაყოფილებდეს ყველა თავის მოთხოვნილებებს.

როგორ უნდა გამოვიყენოთ ამ ქვეყნის ძალა, რამდენი მილიონი მანეთის შეკრეფა შეიძლება აქ ახლო მომავალში სარწყავ არხების გასაყვანად და სხვა ხარჯების დასაფარავად, ეს სულ საერთო ფინანსიურ პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

მხოლოდ არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ჩემ მიერ შეკრეფილმა ცნობებმა

ადგილობრივ უფრო ღრმად დაშარწმუნეს, რომ უნდა მებამბეობაზე თურქისტანში სახელმწიფო გარდასახადი შემოვიღოთ. გარდასახადი დადებული სარწყავ მიწებზე თანაბრად არ არის განაწილებული, მაგრამ საერთოდ რომ ავიღოთ, შედარებით მაინც მცირედია. ამას ამტკიცებს სხვა და სხვა ციფრების გარდა ის გარემოებაც, რომ ეს გარდასახადი ყოველწლივ უკლებლივ შემოდის „უნედოიმკოთ". ხარჯების ხელახლად გაწერა მიწებზე, რომელიც კანონის ძალით ყოველ 6 წელიწადში ერთხელ უნდა მომხდარიყო, არსად არ მოუხდენიათ. საშუალო გარდასახადი სარწყავ მიწაზე სახელმწიფო კონტროლის გამოანგარიშებით უდრის ეხლა ამ მიწების საერთო შემოსავლის 4—6%, როდესაც რომ თურქისტანისათვის მიღებული ნორმებით იგი უნდა იყოს 10%. კერძოდ ბამბის ყანები აქნობამდე, 1891 წელს გამოცემულ კანონის ძალით, იმოდენსვე იხდიან, რამდენსაც პურის ყანა ურწყავ მიწებზე, თუმცა მებამბეობისათვის ეს შეღავათი შემოღებული იყო მხოლოდ 6-ის წლის ვადით და უკვე 1896 წელს გათავდა ეს ვადა. ამ დროიდან ბაჟი ამერიკულ ბამბაზე, რაც აშკარაა რუსეთის მებამბეობისათვის შეღავათს შეადგენს, 1 მ. 20 კაპეიკიდან 4 მ. 15 კაპეიკამდე ავიდა ფუთზე; აიწია ბამბის ფასმაც, იმატა მიწის შემოსავალმა, მებამბეობამ უფრო ფეხი მოიკიდა და განვითარდა. მეორეს მხრით ბაჟის გადიდებამ ძაან დააძვირა ბამბეულობა. ოცის წლის განმავლობაში 1900 წლიდან დაწყობილი, რუსეთის შინაურმა ბაზარმა ამერიკულ ბამბმში გადაიხადა შვიდასი მილიონი მანეთი, რაც წელიწადში უდრის თითქმის 40 მილიონ მანეთს. ამნაირად თურქისტანის მებამბეობის განვითარება კარგა ძვირად უზის მთელს ჩვენს სახელმწიფოს.

ამისთანა პირობებში ჩვენს ჭვაკისა და პურის ყანებზე დადებულ გარდასახადის ცოტათი მაინც შემცირება თურქისტანის საბამბე მინდვრებზე ამ გარდასახადის გადატანით სრული სამართლიანობა იქნება. არც თვით ადგილობრივი მცხოვრებლების წარმომადგენელნი, რომელთანაც კი მქონდა ამ საგანზე საუბარი ჩემს იქ ყოფნაში, როგორც მაგალითად კოკანდის საბაზრო კომიტეტი, არიან წინააღმდეგნი ამ გარდასახადის შემოღებისა. ისინი მხოლოდ აცხადებენ სურვილს რომ ეს გარდასახადი ბამბაზე ნელ-ნელა დაიდოს და არა ერთბაშად. ბამბის გარდასახადის გარდა კიდევ ბევრი სხვა გარდასახადებიც შეიძლება შემოვიღოთ თურქისტანში. ყირგიზელების თითოეული ურემი, მაგალითად, ეხლაც იგივე 4 მანეთს იხდის, რასაც ამ 30 წლის წინად იხდიდა, მათმა შემოსავალმა კი მესაქონლეობიდან იმატა არა ნაკლებ 60%. არ არსებობს აქ სრულიად გარდასახადი ღვინოზე, თამბაქოზე და სხვა მთელ რიგ საგნებზე, რომელნიც ცხოვრებაში არიან ხმარებულნი ასეთი მაგალითები საკითხის გასაშუქებლად სხვაც ბევრია აქ.

ამაზე უფრო მეტად სუსტობს სახელმწიფო ქონებათა გამოყენება. შემოსავალი იგი სამაგალითოდ ცოტაა. ყველა სახელმწიფო მიწები ერთ მეოთხედ მილიონ მანეთსაც კი არ იძლევიან. ეს მიწები რომ სარწყავებად ვაქცოთ, მათი ფასი საშინლად მაღლა აიწევს.

თუ ურწყავებად დარჩებიან, მაშინაც შემოსავალი რამდენჯერმე გადიდდება. სახელმწიფო მიწებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ 38 ათასი დესეტინაა გაცემული იჯარით, ესეც მოკლე ვადით და ძრიელ მცირედ ფასებში. იმ ქვეყანაში, სადაც 28 მილიონი დესეტინა მიწა ითვლება თავისუფალი სახელმწიფოდ, მხოლოდ 38 ათასი დესეტინის გაცემა იჯარით ძალიან ცოტაა. უნდა ცნობაში მოვიყვანოთ ყველა ეს მიწები, დავყოთ ხარისხებად და შემუშავდეს გეგმა მათი გამოყენებისა.

ამ აზრით მე უკვე მივეცი საჭირო დარიგებანი და შემუშავებულია უკვე ზომები მიწის იჯარით გაცემის შესახებ. ამ საქმის მნიშვნელობა დიდია არა მარტო ხაზინისათვის, არამედ მთელი სახელმწიფოსათვის. გაუმჯობესებული სარგებლობა სახელმწიფო მიწებისა ხაზინასაც მეტ შემოსავალს შემატებს და კერძო მოღვაწეობასაც გამოიწვევს, აამოძრავებს კერძო თანხას, ენერგიას, ინიციატივას. უფრო უმთავრესი იქნება ხაზინის შემოსავლის გადიდება კი არა, არამედ ის ახალი სარბიელი, რომელიც აღმოუჩნდება შრომის მოყვარეს და გამჭრიახს ხალხს პირადი შეძლების მოსაპოვებლად.

მიწების საიჯაროდ გაცემაში უნდა მიექცეს თავი და თავი ყურადღება იმ მიწებს, რომელთ მორწყვა მოუხერხებელია და ამიტომ არ ივარგებენ სახნავებათ, ხოლო მეცხვარეობისათვის კი გამოსადეგნი არიან. ამ მიწებიდან თუ ვერ მივიღებთ **„ბამბას“** მივიღოთ **„მატყლი“**. მეცხვარეობის გადატანა თურქისტანში ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთიდან, სადაც ისე დაძვირდა მიწები, რომ ნაზ-ბეწვიანი მეცხვარეობა ხელსაყრელი აღარ არის და ისპობა, უკვე დაიწყო კიდეც; მარტო ჩიმკენტის მაზრაში 15 ათასი სული ცხვარი ითვლება ეხლა; სირდარის ოლქში 150 ათასი დესეტინა მიწაა გადადებული მეცხვარეობისათვის და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დარგი აქ მალე მოიკიდებს ფეხს და განვითარდება. მეცხვარეობა აქ მშვენიერ შემოსავალს (თითქმის 30%) იძლევა, წვრილ-ბეწვიანი მატყლი ჩვეულებრივი მაღალი ღირსებისა დგება, გადაგვარება სრულიად არ ეტყობა, როგორც ეს შემჩნეულია ყირგიზის უდაბნოში. თუ მაინცა და მაინც თურქისტანის საძოვრები ვერ გაანთავისუფლებენ რუსეთს ავსტრალიის მატყლისაგან, რაშიაც მარტო შარშან, მაგალითად, სახელმწიფომ 42 მილიონი მანეთი მისცა საზღვარგარეთელებს, ცოტაოდნად ხომ მაინც შეუმსუბუქებს ჩვენს ქვეყანას ამ ხარკს.

ტყესაც შეუძლიან თურქისტანში მეტი შემოსავალი მოგვცეს, ვიდრე ეხლა იძლევა. თუმცა ცოტაღაა გადარჩენილი ამ ტყიდან, ბაკორტნილ-გათელილია იგი მომთაბარე საქონლით, მაგრამ რაც გადარჩა გაფუჭებას და მოვასწარით დაცვა ტყის ყარაულების ჩაყენებით, ისიც კი მეტ შემოსავალს იძლევა თურქისტანის უსაზღვრო ტიტველა მინდვრებზე. ამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში ტყის შემოსავალი 285 ათასი მანეთიდან 938 ათას მანეთამდე ავიდა. უმეტეს შემოსავალს იძლევა საქსაულის ტყე, რომელსაც $9^1/_2$ მილიონი დესეტინა ადგილი უჭირავს საერთოდ. ამ ტყეების შემოსავალი კიდევაც იმატებს, თუ წესიერ ‘კაფვას შემოვიღებთ. ტყის გა-

კაფვა აქამომდე აკრძალული იყო სრულებით და მხოლოდ წაქცეული მასალით სარგებლობდნენ, რადგან ფიქრობდნენ შეცდომით, რომ საქსაულის ტყე ძაან მძიმედ იზრდება. დიდად საყურადღებოა ამიტომ შედეგი, რომელსაც მიაღწიეს საქსაულის ტყის ხელოვნური გაშენებით მოძრავ სილა-ქვიშათა გასამაგრებლად. იმიერ კასპიის ოლქში ასეთი ხელოვნური ტყით დაცულია მშვენივრად რკინის გზის ლიანდაგი ქვიშისაგან და გარდა ამისა დარწმუნდნენ რომ საქსაულის ტყე დიდ უნარს იჩენს თავისთავად ამოსვლა-გავრცელებაში. დღეს უკვე ვიცით, რომ შეიძლება ამ ტყის ასეთი თვისებით ვისარგებლოთ და მთელი აქაური ქვიშნარები დავფაროთ საქსაულის ტყით.

ამ მხრივ გზათა სამინისტროს მიერ დაწყობილი მუშაობა ტყის საქმის მცოდნე ბ-ნ პალეცკის ხელმძღვანელობით დიდად საიმედო შთაბეჭდილებას იძლევა, როგორც რუსული კულტურული საქმე, ვით საშუალება იქაურ ქვიშნარების წინააღმდეგ, რომელთაც ოდესმე არა ერთი და ორი ქალაქი და სოფელი დაუტანიათ ქვეშ და დაუმარხავთ.

ერთი სიტყვით, რომელი სამეურნეო დარგიც უნდა ავიღოთ, ვხედავთ, რომ უკეთუ ცოტათი მაინც შეეცადენით, შეიძლება ამ დარგის შემოსავალმა კიდევ შესამჩნევად იმატოს. დიდ უნარს იჩენენ წარმატებისა ისეთი სამეურნეო დარგებიც კი, როგორც არიან მეაბრეშუმეობა და მეთევზეობა, რომელნიც აქამომდე უყურადღებოთ რჩებოდნენ და მხოლოდ ეხლა მიეცათ იმედი აღორძინებისა, რადგან სახელმწიფოსაგან გამოელიან დახმარებას საკმაო კრედიტის მიცემით და შესაფერ კანონის გამოცემით (აბრეშუმის ჭიის თესლის კონტროლის შესახებ, თევზაობის მოწესრიგების შესახებ და სხ.).

უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობის შემოსავალმა 1 მილიონი მანეთიდან $3^1/_2$ მილიონამდე აიწია წელიწადში; თევზის შემოსავალი 1 მილიონი მანეთის ადგილას 4 მილიონი გახდა წელიწადში. საერთო შემოსავალი ბაღ-ვენახებისა უდრის წელიწადში 11 მილიონ მანეთს და სხ.

რამოდენა სახელმწიფო გარდასახადს მოიცემიან ყველა ეს სამეურნეო დარგნი, რო განვითარდებიან, ამაზე შემდეგშიაც შეიძლება ბაასი. ხოლო ეხლა ყოველი ღონისძიებით უნდა დავეხმარნეთ მათ განვითარებას, რადგან თურქისტანის მეურნეობის განვითარება საზოგადოდ პირდაპირი გარდასახადების გარდა ბევრს არა-პირდაპირ შემოსავალსაც მისცემს შუაგულ რუსეთს და მთელს სახელმწიფოს ხაზინასაც.

ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში მარტო ბამბა არის შემოსული 100 მილიონი ფუთი, რომლის ფასი უდრის მთელ მილიარდ მანეთს. შემდეგშიაც, რასაკვირველია, იგივე ბამბა იქნება უმთავრესი შემოსავალი, მაგრამ ამასთანავე არც სხვა სამეურნეო დარგნი იქნებიან მცირედნი

იმ ზომათა შორის, რომელნიც უნდა მიღებულ იქმნენ თურქისტანში მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების სამართველოს მიერ, არ შემიძლიან არ დავასახელო ერთი, რომელიც არ ვიტყვი რომ მოსთავებს ყველა სხვა ზომებს თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ყველაზე მეტად მივიწყებული და დაუფასებელი კია დღემდე. ყოველ სამე-

ურნეო დაწესებულებას გათვალისწინებულს კანონით, რომელიც წარდგენილია უკვე სახ. სათათბიროში განსახილველად, რასაკვირველია ჯეროვანი სიმკვიდრე უნდა მიეცეს; ყველა იმ გამოცდილებით, რაც მებამბეობაში გვაქვს უკვე მიღებული როგორც უტყუარი ცოდნა, რასაკვირველია, ფართოდ უნდა ვისარგებლოთ, მაგრამ არის კიდევ ერთი რიგი აგრონომიული დახმარება, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს გახლავთ:

სამეურნეო სწავლა-განათლება.

თურქისტანი—ბალია ჩვენი, ბამბის და სხვა ძვირფას კულტურების ქვეყანაა. ამ ქვეყნის მომავალი სასოფლო მეურნეობაა, სამრეწველო, რთული მეურნეობა, რომელიც ითხოვს სპეციალურს ცოდნას და დახელოვნებულს გავარჯიშებას. სწავლა-განათლებაც თითქო ამის და მიხედვით უნდა ყოფილიყო აქ მოწყობილი, აქაურ ეკონომიურ მდგომარეობასთან შეთანხმებით, აქაური იერით დაელფერებული. ნამდვილად კი სულ სხვას ვხედავთ. შკოლა ტაშკენტში იმავ ყალიბზეა ჩამოსხმული, როგორც პეტერბურგში: ყველა ერებს და ყოველს კუთხეში აღმოსავლეთიდან დაწყობილი დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ჩვენ სულ რაღაც საოცარი დაჟინებით მარტო გორაცის ვასწავლით. ცალმხრივობა, უნიადაგობა ამ გეგმისა ეჩოთირება თვალს აზიის სანაპირო ქვეყნებში, სადაც განყენებულ-გუმანიტარული განათლება გიმნაზიისა ეძლევათ სარტების შვილებს და ამიერ კავკასიის თათრებს და—რაც უფრო საკვირველია—რუსების ბავშვებს, რომელნიც უნდა მომზადებულიყვნენ ამ ქვეყანაში ტეხნიკურ ცოდნის შესატანად, შეესწავლათ ის, რაც შეეხება წყალს, მიწას, ბამბას, ვენახს. ასეთ ქვეყანაში შკოლამ უნდა მოზარდში ჩანერგოს თუ პრაქტიკული ცოდნა არა, რომელსაც შემდეგ შეიძენს იგი ვარჯიშობით, ისეთი საზოგადო ფსიხოლოგია მაინც, რომელიც წაახალისებს მეურნეს მრეწველობისაკენ და მისცემს მას სიმდიდრის მოპოების უნარს და არა გაგვიზრდის ისეთ თაობას, რომელიც, როგორც დღეს ხდება ეს უმეტეს შემთხვევაში, მიაჩერდება მხოლოდ და მხოლოდ არსებულს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წესწყობილებას თავისი განყენებული შეკითხვებითა და იჭვნეულობით.

ამ თვალსაზრისით მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ქალაქ ტაშკენტის ახლოს საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას და უკვე არსებულთ დაბალ სამეურნეო და საბაღოსნო შკოლების გაუმჯობესობას, ნამეტნავად კი უფრო ტაშკენტის გიდროტეხნიის შკოლის საუკეთესო პირობებში ჩაყენებას ქალაქიდან სოფელში გადატანით.

გიდროტეხნიურ სწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს თურქისტანისათვის: მომავალი ამ ქვეყნისა ახალ სარწყავ არხების გაყვანაზე და ამ არხებიდან წყლით სარგებლობაზეა დამოკიდებული. აქ უფრო, ვიდრე სხვაგან სადმე, შკოლა ვერ გაუდგება განზე ყველამ საარსებო საკითხებს. უმაღლესი სასწავლებელიც თურქისტანში, როცა მოვა დრო მისი დაარსებისა, უნდა აგრედვე ამზადებდეს ისეთ მოღვაწეს, როგორსაც ქვეყანა იგი საჭიროებს:

იურისტებს და ფილოლოგებს კი არა, არამედ ინჟენრებს, გიდროხეხნიკებს, აგრონომებს და ტეხნოლოგებს.

სახელმწიფო მართველობა დამყარებული ასეთ სპეკიალურად მომზადებულ მოღვაწეებზე, რომელნიც ბავშობიდანვე იქნებიან ადგილობრივ ცხოვრებასთან შეგუებულნი და საბაბი არ ექნებათ თავიანთი ქვეყნიდან სხვაგან წავიდნენ, უფრო შესძლებს უზრუნველ ჰყოს თურქისტანის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება.

როგორი მართველობა უნდა იყოს თურქისტანში.

სახელმწიფოს მხრივ ხარჯის გაწევას სარწყავ წყლის გამოყვანაზე, ახალშენლების დასახლებაზე, გზების გაუმჯობესობაზე, კრედიტის აღმოჩენაზე, აგრონომიულ დახმარებაზე — უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თურქისტანის ეკონომიური აღორძინებისათვის, ვიდრე რომელიმე საკითხს ამ ქვეყანაში მართველობის შემოღების შესახებ.

ჯერ ყოველი ის, რაც თურქისტანის შინაურ წეს რიგს შეეხება, დამთავრებული არ არის. ეხლანდელი ხანა ამ ქვეყნის განვითარებისა თხოულობს მართველობის ასე თუ ისე შეცვლას კი არა, არამედ შეძლებითა და ენერგიით სავსე გამგებლობას. მარტო ასეთ მართვას შეუძლიან შექმნას ჩვენთვის საჯურველი „ახალი თურქისტანი“

ასეთ მოლოდინში დღეს არსებული თურქისტანში სამხედრო მართველობის შეცვლა სამოქალაქო მართვაზე ანუ გრაფ პალენის მიერ განზრახული ეროობის შემოღება დროთი გამოწვეულ ზომას არ შეადგენს და არა-უმთავრესია. სამოქალაქო მართვაც და ეროობის შემოღებაც მომავალი საქმეა. ორივ ზომანი სასარგებლონი, კარგი და საკეთილონი იქნებიან მხოლოდ მაშინ, როცა ამ ქვეყანაში რუსთა მოსახლეობის რიცხვი საკმაოდ დიდი შეიქმნება.

დღეს კი ძველი თურქისტანი ჯერ ისევ ადგილობრივ მკვიდრთა ზღვაა. რუსთა მოსახლეობა, აქ, რუსული ახალი „ქალაქები“ ჯერ მხოლოდ პაწაწინა კუნძულებათ მოჩანან ამ მუსულმანთა ზღვაზე ვით საიმედო და მადლობა ღმერთს, მაგარი ფეხმოსაკიდებელი სადგურები რუსთა მოსახლეობისათვის შემდეგში.

თურქისტანის სოფლებში ამ უკანასკნელ დროს მიღებულ ცნობებით რუსები ითვლებიან: იმიერ კასპიის ოლქში სულ 4.775 ადამიანი, სამარკანდის ოლქში — 40.234 სული.

პროცენტით რო ვიანგარიშოთ ცალკ-ცალკე ოლქებისათვის მივიღებთ $1^1/_3$-დან $6^0/_0$-მდე.

ამისთანა პირობებში ძნელია ამ ქვეყნის გადაყვანა „საერთო წესწყობილებაზე“. როდესაც თვალით ხედავ ადგილობრივ მკვიდრთა სიჭარბეს, უნებურად გრძნობ, რომ ეს ქვეყანა ჯერ ისევ რუსთა სამხედრო ბანაკად უნდა დარჩეს, როგორც ეტაპი რუსეთის ძლევამოსილი მისწრაფებისა შუაგულ აზიისაკენ. რუსეთის სამხედრო ძალა როგორც ძალა მართველი უფრო გასაგებია და საგრძნობელია აქაურ მიწყნარებულ მკვიდრთა ბრბოსათვის, ვიდრე სამოქალაქო მართველობა; და თუ როგორც მიდენდორფი ამბობს „გუბერნატორი ფრაკში“ უნდა სცვლიდეს „გუბერნატორს ეპოლეტებში“, ესეთი გამოცვლა თავის დროზე უნდა მოხდეს და არა წინასწარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მართველობა არც აქნობამდე აპრკოლებდა თურქისტანის ეკონომიურ წარმატებას და არც მომავალში დააპრკოლებს მას. მაზრის უფროსნი, რომელნიც შეადგენენ უმთავრეს ძალას ადგილობრივ მართველობისას, წუნდაუდებელნი არიან და უნდა ვსთქვათ რომ ადმინისტრაცია აქ რიგიანად ასრულებს საზოგადოდ თავის მოვალეობას. საჭიროა მხოლოდ ადმინისტრაცია განთავისუფლდეს სახელმწიფო მიწების გამგებლობისაგან და სარწყავი არხების გაყვანისაგან. ეს შეუფერებელი მოვალეობა დღესაც ისევ ოლქის მართველობას, სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს, ოლქის „საარხო“ დაწესებულებას (ირიგატორებს) აწევთ კისერზე. თურქისტანის სასოფლო-მეურნეობის განვითარება და რუსების აქ დასახლება უნდა სრულდებოდეს სამეურნეო დაწესებულებებით. ამ მისწრაფებათა განხორციელება კი შესაძლოა საერთო სამხედრო მართველობის ფარგალშიაც.

ერობის შემოღებაც თურქისტანში ჯერ-ჯერობით განყენებულ აზროვნების შედეგია, რომელსაც სრულებით არ უჩანს თავისი რეალური გამომხატველობა. რუსების რიცხვის აქ ესოდენ სიმცირეში და ყველა ძვირფასი მიწების ადგილობრივ მკვიდრთა ხელში ყოფნის დროს სამაზრო ერობის დღეიდანვე შემოღება იქნება თანასწორი იმისა, რომ თურქისტანი სარტების ანუ ყირგიზების ქვეყნად დარჩეს სამუდამოდ. დაიმედება კიდე ქალაქ ადგილებში მცხოვრებ რუსებზე და ჯერ მარტო საგუბერნიო ერობის შემოღება (ასეთი აზრიც გამიგონია ჩემს იქ ყოფნაში), მგზავსი იქნება იმისა, რომ შენობის აშენება ჭერიდან დავიწყოთ და საერობო დაწესებულებანი გავავსოთ იგივე რუს ჩინოვნიკებით, რომელნიც უკვე დგანან თავიანთ საქმეზე.

მაგარი, შემძლე ერობა შეიძლება რუსთა დასახლებას მოჰყვეს მხოლოდ კვალდაკვალ. **ერობა საჭიროა** შემდეგ იმისა, როცა ჯერ რუსული თურქისტანი წარმოსდგება და არა **იმ აზრით,** რომ იგი წარმოსდგეს.

მართველობის მისწრაფებანი.

უპირველესი მისწრაფება მართველობისა თურქისტანში უნდა მდგომარეობდეს იქაურს დაწესებულებათა ასე თუ ისე გამოცვლა-გადაკეთებაში კი არა, არამედ მთელ ამ ქვეყნის მწარმოებელ ძალთა გაძლიერებაში. თურქისტანი როგორც რუსეთის განაპირა ნაწილი ჯერ ახალგაზდაა: ორმოცდაათის წლისაა. როგორც ქვეყანა კი ერთი უძველესთაგანია მთელს დედამიწის ზურგზედ. თურქისტანი თავის რამდენიმე ათასი წლის სიცოცხლეში ბევრს მპყორელ ხალხ გაეცნო. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინ იგი სპარსელებმა დაიპყრეს, მეოთხე საუკუნეში—ბერძნებმა, მეორე საუკუნეში—სკიფებმა, შემდეგ ხუთი საუკუნის განმავლობაში უფლობდნენ ჩინელები, მერე თურქთა ერები, არაბნი და სულ ბოლო დროს, რუსების მოსვლის წინ, მონგოლები და უზბეკნი. ყველა ეს ერები შემოსევის დროს ჯერ სცარცვავდნენ თურქისტანს და მერე კი, როგორც ამბობენ, ცდილობდნენ რაიმე ახალი კულტურა გადაეცათ მისთვის თავიანთ სახსოვრად.

ჩინელებს, მაგალითად, შემოუღიათ თურქისტანში სარწყავი წყლის გაყვანა, ნიადაგების დამუშავება, ბრინჯის თესვა-მოყვანა, მეაბრეშუმეობა და მებამბეობა; არაბებს გაუვრცელებიათ აქ თექური ჯიშის ცხენები და ეგრედწოდებული ყარა-კულის ჯიშის ცხვარი; სპარსელებს უსწავლებიათ მეურნეობა ურწყავ მიწებზე, ხილის, ბაღის გაშენება და ორნჯის თესვა-მოყვანა.

რა მიანიჭეს რუსებმა თურქისტანს?

ძლიერი სამართლიანი მართველობა, წესრიგი, მშვიდობიანობა ⁄ საკუთრება, რომელთაც უზრუნველ ჰყვეს თურქისტანის საწარმოო ძალთა აყვავება; ამერიკული ბამბა, რომელმაც მისცა თურქისტანს სიმდიდრე, და ორი დიდი რკინის გზა.

დროა გავითვალისწინოთ ახლა სხვა ახალი მისწრაფვანი—სარწყავ არხების გაყვანა და რუსების დასახლება. ორივე ესენი იყრებიან ერთად და მიდიან ერთი საერთო წადილისაკენ—ახალი რუსული თურქისტანის წარმოსადგენად, რომელიც მოგვცემს საჭირო ბამბას და ბევრს სხვა ნივთიერსა და პოლიტიკურს ღირებულებას.

უმთავრესი დასკვნანი.

ზემოხსენებულ წადილის ასასრულებლად საჭიროა მივიღოთ შემდეგი უმთავრესი ზომანი:

1. **თანდათან უნდა გაემატოს სარწყავ წყლის არხებს იმ 3 მილიონი დესეტინა მიწის მოსარწყავად, რომელსაც მიუდგება წყალი.** სიფრთხილის გულისთვის მუშაობა უნდა დავიწყოთ უკვე არსებულ არხების შეკეთებით და მდინარე სირდარიდან სარწყავი წყლის გაყვანით იმ რაიონში, სადაც მებამბეობა უკვე ნაცადია, და მხოლოდ შემდეგ ამისა მივყვეთ ნელნელა სხვა ახალ უფრო რთულ საქმეების გაკეთებას.

სარწყავი წყალი ერთიორად აქცევს საბამბე მინდვრების რაოდენობას, მოიზიდავს თურქისტანში მილიონ ნახევარს რუს მოსახლეს და დააკმაყოფილებს სავსებით ბამბის მოთხოვნილობას რუსეთში. რაც ამ სარწყავ არხების გაყვანაზე ფული დაიხარჯება, ანაზღაურდება რამდენიმე წლის განმავლობაში, ხოლო თანხა კი, რაც ამ საქმეს დასჭირდება, უკლებლივ უნდა გავიღოთ.

2. **სარწყავ არხების გასაყვანად უნდა გამოწვეულ იქმნას კერძო მოღვაწეობაც.** ამასთანავე სახელმწიფოსა და კერძო პირთა შორის ხელშეკრულობაში უნდა შეტანილი იქმნას ისეთი მუხლი, რომლის ძალით სახელმწიფოს ეკუთვნება უხარჯოდ რაოდენიმე ნაწილი ახალი სარწყავი მიწებისა მათი დაყოფის დროს იმ წესით, რომელიც წარდგენილია უკვე სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად და დასამტკიცებლად.

3. **უნდა მიეცეს თურქისტანს, რომლის მთელი კეთილდღეობა სარწყავ წყალზეა დამოკიდებული, წყლის კანონი.** გეგმა ამ კანონისა სახელმწიფო სათათბიროში წარდგენილი უნდა გადათვალიერდეს და შესწორდეს.

4. სახელმწიფოს ახალი სარწყავი მიწები რუსებს უნდა გარდაეცეთ მთლად. რუსი მოსახლე, რომელიც ცოტაა ჯერ აქ, რადგან არ იყო გამზადემული მათთვის საჭირო მიწები, საკმაო უნარს იჩენს განვითარებისას მომავალში.

რუსები, მაგალითად, ძაან მალე მიხვდნენ და გავარჯიშდნენ მებამბეობაში. სახელმწიფო მიწების გარდაცემა რუსებზე უნდა უ'ათუოდ ფასდადებით მოხდეს. მიწა უნდა მიეზომოს თითოეულ ოჯახს ცალკე და საკუთრებად დაუმტკიცდეს შემდეგ იმისა, როცა რაოდენიმე ნაწილს ამ მიწებისას ბამბით დასთესენ.

5. უნდა აჩქარდეს არუს-ვერნი რკინის გზის გაყვანა. ეს გზა შეაერთებს თურქისტანს სემირეჩიესთან და უზრუნველ ჰყოფს მას პურით, რის გამო რაოდენიმე ნაწილი თურქისტანის მინდვრებისა, სადაც ეხლა პური ითესება, ბამბას დაეთმობა. უფრო დიდი იქნება მნიშვნელობა ამ გზისა მომავალში, როცა სარწყავ მინდვრებს გაემატებათ. ხოლო შემდეგში კი, როდესაც სემირეჩიეს პურიც აღარ იკმარებს, საჭირო გახდება ამ გზის ჩრდილოეთისაკენ გაგრძელება ალტაის მხარეს, რომ ბოლოს თურქისტანი შეერთდეს ამ გვარად რკინის გზით ციმბირთან.

6. უნდა დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს სახელმწიფო ბანკის საშუალებით წვრილი სესხის გაცემა მებამბეობაზე. საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებით მათ შორის, ესეთი დახმარება გაანთავისუფლებს მათ ჩარჩებისაგან და შეუნარჩუნებს იმ ზედმეტ სარგებელს, რომელიც ჩარჩებს მიაქვთ ეხლა, და ხელს შეუწყობს საწარმოო თანხის შედგენას, ურომლისოდაც მებამბეობის განვითარება შემდეგში ყოვლად შეუძლებელი იქნება.

7. უნდა განხილულ იქმნას საკითხი საგლეხო ხაადგილ-მამულო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ თურქისტანში. ერთის მხრით სარწყავი მიწების ყიდვა-გაყიდვა თურქისტანში და მეორე მხრით ამ მიწების შეძენაში იურიდიული დაუპრკოლებლობა იძლევიან იმედს, რომ საგლეხო ბანკის საშუალებით ცოტაოდენი სარწყავი მიწები მაინც გადავა რუსების ხელში შიგ შუაგულ თურქისტანში.

8. უნდა გაფართოვდეს აგრონომიული დახმარება, რომელმაც უკვე გაუწია სამსახური აქაურ ცხოვრებას და რომელიც შეუწყობს დიდად ხელს რუსების აქ გადმოსახლებას მომავალში. ამისათვის საჭიროა:

ა). შემუშავდეს ურწყავ მიწებისათვის წესიერი მეურნეობა, რომ რაოდენიმე ნაწილი მიწებისა განთავისუფლდეს მებამბეობისათვის;

ბ). შემუშავდეს ადრეულა თესლი ბამბისა, რომ მებამბეობამ ჩრდილოეთისაკენ გაიმატოს;

და გ). გავრცელდეს სამეურნეო მანქანა-იარაღების ხმარება მებამბეობაში მუშა ხელის გასაიაფებლად.

9. უნდა მიეცეს თურქისტანს შესაფერი სამეურნეო სასწავლებელი. თურქისტანის მომავალი სასოფლო

J 18/12

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობაშია, ძვირფას და რთულს კულტურებში, რომელნიც საჭიროებენ სპეციალურს ცოდნას და ბავშობიდანვე ჩანერგილს გულში მისწრაფებას, რომელიც ითქმის ასე:

გაუფრთხილდი შენს მიწა-წყალს!

უპირველესი ყურადღება სწავლის საქმეში უნდა მიექცეს აგრონომების და უფრო მეტად საჭირო თურქისტანისათვის გიდროტეხნიკების მომზადებას.

6 მაისი 1913 წ.

შეცდომის შესწორება

ჩვმს წიგნში „მცენარენი და ცხოველნი“ გვ. 91 სურათ ქვეშ არის წარწერა: „პარაზიტი მცენარე **აქტინია** ამოსული ეული კიბოს (პაგურის) ზურგზე“

უნდა იყოს: „პარაზ ტი აქტინია ასული ეული კიბოს (პაგურის) ზურგზე“.

გვერდი 92, სტრიქონი 10 (თავიდან) სწერია „ამოსული“. უნდა იყოს ასული.

გვ. 92 სტრიქონი 15 სწერია „ორივენი“ ენდა იყოს ორივე ცხოველნი.

ავტორი.

სამეურნეო ჟურნალი

„წელიწადი მეხუთე“ **მოსავალი** „წელიწადი მეხუთე“

მიიღება ხელის-მოწერა 1913 წლისათვის

ჟურნალი ღირს წელიწადში 3 მან.

მისამართი: ТиФлисъ, Барятинская, № 5.

„მოსავალის“ რედაქციაში ისყიდება ჟურნალის კომპლექტები 1909 წ., 1910 წ., 1911 წ. და 1912 წ., უყდო და ყდაკაზმული.

იყიდება აგრედვე ცალკე გამოცემები:

„კანონი“ მელვინე-მევენახეთა კომიტეტისა ..... 15 კაპ.
„ინჯა“ ..... 5 „
„კართოფილი“ ..... 5 „
„ბამბის თესვა-მოყვანა“ ..... 5 „
„ქიმია როსკოსი“ (—მეორე გამოცემა) ..... 30 „
„საზოგადოებრივი ცხოვრებიდამ და შვეიცარიის ძირითადი კანონები ..... 25 „
„კრებული არიმეტიკული ამოცანების“ ..... 50 „
„მცენარენი და ცხოველნი“ ..... 40 „

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. **რცხილაძე**